



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა სამოქალაქო სამართალში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

თათია კეკელიძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

მოწვეული სპეციალისტი

დავით სუხიტაშვილი

თბილისი

2021

შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation.....	4
შესავალი.....	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
თავი II. სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ბრალის ზოგადი მიმოხილვა.....	9
2.1. პასუხისმგებლობის ცნება და მისი ფუნქციები.....	9
2.2. სამოქალაქო ბრალის ცნება და მისი მახასიათებლები.....	13
თავი III. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ცალკეული სახეები.....	21
3.1. პასუხისმგებლობა მუშაკისათვის მიყენებული ზიანისათვის.....	24
3.2. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის.....	28
3.3. პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის.....	37
თავი IV. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები.....	41
4.1. დაუძლეველი ძალა.....	41
4.2. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სხვა საფუძვლები (შემთხვევა, შესრულების შეუძლებლობა).....	44
თავი V. კვლევის შედეგები.....	45
დასკვნა.....	52
გამოყენებული ლიტერატურა.....	53

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები. პირველ რიგში წარმოდგენილია ბრალის ცნების გაანალიზება, მისი ადგილი სამოქალაქოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის სისტემაში, ბრალის სახეები საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. კერძოდ, საქართველოსა და ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა. ნაშრომში განხილულია ტერმინი „ბრალის“ ისტორიული საწყისები, მისი, როგორც ცნების დამკვიდრება ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში.

თემაში განხილულია ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ცნება, სახეები, თავისებურებანი. თითოეული მათგანის მსგავსება და განსხვავება ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში. ასევე, თემაში წარმოდგენილია თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ საკითხებს შევხებით მოცემულ ნაშრომში და შევეცდები შეძლებისდაგვარად, ამომწურავად აღვწერო მოცემული თემა. ცხადია აღნიშნული თემა მისი მასშტაბების გათვალისწინებით ამოუწურავია და კანონმდებლობით იდეალურად არ არის მოწესრიგებული, თუმცა, დროთა განმავლობაში კანონმდებელი და სასამართლო პრაქტიკა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ამ ხარვეზების აღმოფხვრას.

ნაშრომი სტრუქტურულად მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ბიბლიოგრაფიის ნუსხას.

Annotation

The discussion in this paper is about issues related to liability without charge. First of all, the analysis of the concept of guilt is presented, its place in the system of the institution of civil liability, the types of guilt according to international and national legislation. In particular, the legislation and practice of Georgia and European countries. The paper discusses the historical origins of the term “blame”, its establishment as a concept in Georgian and European legislation.

The topic discusses the concept of responsibility without guilt, types, peculiarities. Similarities and differences between each of them in Georgian and European legislation. Also, the topic presents modern case law on this topic. Therefore, we will address these issues in this paper and try to describe the given topic as exhaustively as possible. Clearly this issue is inexhaustible given its scale and is not perfectly regulated by law, however, over time the legislature and the case law will certainly help to eliminate these shortcomings.

The paper structurally includes an annotation, table of contents, introduction, main topic (divided into chapters and subsection) conclusion and bibliography used.

შესავალი

თემის აქტუალობა: თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი-ვალდებულებითი სამართალი დაფუძნებულია ისეთ უმნიშვნელოვანეს პოსტულატებზე როგორებიცაა სახელშეკრულებო თავისუფლება და სამართლიანობა, კეთილსინდისიერება, შესრულების სავალდებულობა, თვითპასუხისმგებლობა.

სამართალი, პოზიტიური ცნების მიხედვით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობაა. სამართლის ნორმები, თავის მხრივ, სტაბილურობისა და სამართლიანობის დაცვას უზრუნველყოფს.

ვალდებულების დარღვევა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. იურიდიული პასუხისმგებლობა გამოიხატება სამართალდამრღვევისთვის განსაზღვრული უარყოფითი შედეგების დადგომით, კერძოდ, ქონებრივი ან პირადი უფლებების შეზღუდვით, რაც ხორციელდება როგორც დაზარალებულის, ისე საზოგადოების სასარგებლოდ. მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის ფართოდ განხილვა თემის ფარგლებში, ვინაიდან სამოქალაქო სამართალს განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოების ნებისმიერი წევრის ცხოვრებაში. ძირითადი აქცენტი მექნება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ბრალი, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, სახეებსა, პრაქტიკაში მათი გამოხატვის ფორმებსა, და მათ შედარებით-სამართლებრივი ანალიზზე საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალთან.

კვლევის მიზანი: სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი პირობის, ბრალის, არსის გარკვევა და წარმოდგენა იმისა თუ რას მოიცავს კერძო სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ინსტიტუტი. კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის სისტემებს მიკუთვნებული ქვეყნების კანონმდებლობის, უნიფიცირებული სამართლის დანაწესების განხილვის, ქართული სამართლის ისტორიის გათვალისწინებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ნაშრომში იმ საკითხების წარმოჩენა, რასაც აზრობრივად მოიცავს ბრალის სამართლებრივი კატეგორია. კვლევისას გამოიკვეთა ის ხარვეზები, რაც არსებობს თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში ბრალის და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ინსტიტუტთან მიმართებით.

კვლევის ამოცანა: ნაშრომის ძირითადი ამოცანაა სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და კერძოდ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ინსტიტუტის განხილვა. მათი სამართლებრივი

შეფასება და შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სწორი და ხელმისაწვდომი რეკომენდაციების შემუშავება აღნიშნულისთვის. გარდა ამისა, ნაშრომის შესრულებისას მიმოვიხილავ სასამართლო პრაქტიკის მიდგომის სამართლებრივ მხარეს, მისი დასაბუთებულობის საფუძვლიანობას და შევადარებ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობებით გათვალისწინებულ მიმოხილვას.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის მიზნის მიღწევისა და ამოცანების გადასაჭრელად საკვლევ თემაში მნიშვნელოვანია სწორი ლიტერატურის შერჩევა. სწორედ ამიტომ, გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახის ლიტერატურა, როგორც ქართული ისე უცხოური წყაროები, ნორმატიული მასალა, ასევე განხილული იქნება უცხოური ისე ქართული სასამართლო პრაქტიკა თუ როგორ განმარტავს ზემოაღნიშნულ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებს, რადგან როდესაც ვსაუბრობთ კონკრეტულ საკითხზე აუცილებელია განხილულ იქნას სასამართლო პრაქტიკაც ამ საკითხებთან დაკავშირებით. დამატებით გამოყენებული იქნება ინტერნეტ მასალაც.

თუმცა, რა თქმა უნდა, აღნიშნული ლიტერატურა წარმოადგენს სამომავლოდ გამოსაყენებელი წყაროების მხოლოდ ნაწილს. გამოვყოფ რამდენიმე ძირითად მასალას, რომლებიც მნიშვნელოვანია საკვლევ თემის თავებისა და ქვეთავების სტრუქტურისთვის, მსჯელობის, ანალიზისა და შინაარსის ჩამოყალიბებისთვის:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ავტორთა კოლექტივი, მთავარი რედაქტორი ლადო ჭანტურია, თბილისი - 2001 წ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარის წინამდებარე წიგნი ეძღვნება ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილს. კომენტარების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მასში გამოკვლეული და გადმოცემულია ზოგადი ვალდებულებითი სამართლის ყველა ფუძემდებლური საკითხი. ჩატარებული კვლევა, ანალიზი და ნორმათა განმარტებები ეყრდნობა დიდძალ სასამართლო პრაქტიკას, რაც, უდავოდ, ზრდის ამ ფუნდამენტური ნაშრომის ღირებულებას სამართლის პრაქტიკისა თუ მეცნიერებისათვის.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი - III, ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი ლადო ჭანტურია, თბილისი - 2019 წ. სამოსამართლო სამართლისა და სამართლის მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით კომენტარში განხილულია ვალდებულებითი სამართლის პრინციპები, როგორებიცაა კეთილსინდისიერების, ხელშეკრულების თავისუფლების, ბრალეული პასუხისმგებლობის, ხელშეკრულების ერთგულებისა და სრული ანაზღაურების პრინციპები. ეს ყოველივე ნათელს ხდის ამ პრინციპების დიდ პრაქტიკულ ღირებულებასა და მნიშვნელობას.

დავით და თეა სუხიტაშვილების ავტორობით გამოცემული წიგნი სათაურით- სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბილისი - 2016. აღნიშნულ ნაშრომი მეტად საინტერესოა ჩვენი თემიდან გამომდინარე, კონკრეტულად მასში დაწვრილებით და ამომწურავადაა განხილული ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ცალკეული სახეები: კერძოდ: მუშაკისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული

ზიანისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა და ასევე პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. მასში ასევე მოცემულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზი უცხოურ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობასთან. ამ მხრივ აღნიშნული მასალა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის.

თემის შინაარსიდან გამომდინარე ასევე მნიშვნელოვანია ზურაბ ახვლედიანის ვალდებულებითი სამართალი, თბილისი - 1999 წ; ზურაბ ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი - 2014 წ. კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი - II, თბილისი - 2001 წ.

თემა საკმაოდ მრავალფეროვანი და ვრცელია, ამიტომ შევეცადე მესარგებლა და ძირითადი საყრდენი ყოფილიყო დავით სუხიტაშვილის და თეა სუხიტაშვილის ავტორობით გამოცემული წიგნი -სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა და სამოქალაქო სამართლის კომენტარები რომელიც თემის ძირითად ნაწილშია გამოყენებული. ასევე, ბ. ზოიძის კომენტარები. ნაშრომში გამოყენებულია ნინო ბეგიაშვილის, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), „სამართლის ჟურნალი“, თბილისი - 2011 წ., ნათია ჩიტაშვილისა და ქეთევან ქოჩაშვილის ნაშრომები.

რაც შეეხება უცხოურ ლიტერატურას, ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია რუსულენოვანი და გერმანული ლიტერატურა. ნაშრომში ასევე გამოყენებულია სხვა მეცნიერთა ნაშრომები და საზღვარგარეთის ლიტერატურის მიმოხილვაც თემასთან დაკავშირებით; თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი კონკრეტულ ლიტერატურათა ჯგუფი შედარებით ინტენსიურად არის გამოყენებული თემაში.

თავი II. სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ბრალის ზოგადი მიმოხილვა

2.1. პასუხისმგებლობის ცნება და მისი ფუნქციები

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნებისმიერი ქვეყნის სამართალი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დადგენილ სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობას. სწორედ სახელმწიფოს მიერ შემოღებული სამართლის ნორმები წარმოადგენს სტაბილურობისა და სამართლიანობის დაცვას უზრუნველყოფის ერთგვარ გარანტიას. თავისუფალ საზოგადოებაში სახელმწიფო უზრუნველყოფს სახელშეკრულებლო თავისუფლების პრინციპს, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანები თავად ირჩევენ თვითბოჭვას გარკვეული ვალდებულებების შესრულების სახით. ხოლო მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს სამართლებრივი პასუხისმგებლობას. სსკ-ის 361-ე მუხლით განსაზღვრულია ვალდებულების შესრულების პრინციპები, კერძოდ: „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“¹.

ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, პასუხისმგებლობა კი კონკრეტული სამართალდამრღვევისთვის შესაბამისი სამართლის ნორმით განსაზღვრული უარყოფითი შედეგის დადგომაა.² სხვა სიტყვებით სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა არის სახელმწიფოებრივი იძულების ერთ-ერთი ფორმა, რაც გამოიხატება სასამართლოს მიერ სამართალდამრღვევის მიმართ ქონებრივი სანქციის დაწესებით, რომელიც იწვევს მისთვის არახელსაყრელი ქონებრივი შედეგების დადგომას და მიმართულია დაზარალებულის დარღვეული უფლებების აღდგენისაკენ³.

ამასთანავე სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს იურიდიული პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი ნიშანები. კერძოდ- სამართლის ნორმის დამრღვევზე სახელმწიფოს მიერ იძულებით ზემოქმედების ერთ-ერთი ფორმა- იურიდიული პასუხისმგებლობის დაყენება, რომელიც უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სამართალდამრღვევების მიმართ გამოიყენება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურებაში, პირგასამტეხლოს გადახდაში, ბეს დაკარგვაში.

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი.

² ზ.ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ: ადვოკატი N2, თბილისი, 2013, გვ.31

³ Гражданское право (т.1) 2-е изд. под ред. Е.А., Суханова. М., 2003, 431.

“ზიანის ანაზღაურება (Dam-ages) გულისხმობს ფულად კომპენსაციას, რომელიც შეიძლება სასამართლოს მიერ ერთ მხარეს დაეკისროს მეორე მხარისათვის მიყენებული კონკრეტული ზიანის სანაცვლოდ”. ქართულ სამოქალაქო კოდექსში გადმოცემული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები ითვლება მთელი კერძო სამართლისათვის საერთო ზოგად პრინციპებად. ამასთანავე ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები (408-415) თანაბრად გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტის შედეგად წარმოშობილ ზიანთან მიმართებაში.⁴ მათში გადმოცემულ პრინციპებს ემყარება როგორც სახელშეკრულებო, ასევე არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურება.

ზიანის ანაზღაურებისას პირი ვალდებულია აღადგინოს თავდაპირველი მდგომარეობა, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ „უნდა აღდგეს ის თავდაპირველი მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“.⁵

რაც შეეხება სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობას: სამოქალაქო პასუხისმგებლობა რომ წარმოიშვას აუცილებლად სახეზე უნდა გვქონდეს ერთდროულად რამოდენიმე წინაპირობა: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი, დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და ბრალი.

სსკ-ის 992-ე მუხლში მოცემულია ზიანის მიყენების შედეგად დელიქტური ვალდებულების წარმოქმნის ზოგადი წესი. კერძოდ, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია თუ არსებობს პასუხისმგებლობის პირობები. კერძოდ, სახეზეა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი.⁶

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ზიანი- თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობის მიერ გაზიარებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, „ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.“⁷ ზიანი

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 6 იანვრის #ას-987-928-2010 და 2011 წლის 24 იანვრის #ას-1076-1008-2010 განჩინება.

⁵ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, გვ. 65.

⁶ შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 381.

⁷ შ.ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 378; შ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, გვ.16.

სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული უნდა იყოს“⁸ და „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებადი ზიანი. ასეთია სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი.“⁹

მართლწინააღმდეგობა ნიშნავს, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას.¹⁰ იგი მკვეთრად საპირისპიროა მართლზომიერი ქმედებისა, რომელიც შეესაბამება სამართლის ნორმის მოთხოვნას და ქმნის მართლწესრიგს, მართლსაწინააღმდეგოა ქმედება, რომელიც არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და ხელყოფს მართლწესრიგს კანონის ან ხელშეკრულების ძალით პირი ვალდებული იყო (სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული მოქმედების განხორციელების სამართლებრივ ვალდებულებას) და შეეძლო ემოქმედა (ფიზიკური კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს მოქმედების განხორციელების ფაქტობრივ შესაძლებლობას), თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა განსაზღვრული მოქმედება. სამოქალაქო სამართალში მართლწინააღმდეგობად მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა, რომელსაც კიცხავს ეს სამართალი, მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.¹¹

სახელშეკრულებო სამართალდარღვევა უმეტესად მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობით ხორციელდება, ხოლო დელიქტური არამართლზომიერი მოქმედებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქმედების მართლწინააღმდეგობის კრიტერიუმია კანონი, ხოლო სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ხასიათი ხელშეკრულების მიხედვით განისაზღვრება.¹² მართლწინააღმდეგობა სამართალდარღვევის ობიექტური ნიშანია და მისი არსებობა არ არის დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე, ანუ იმაზე, აცნობიერებდა თუ არა ის თავისი მოქმედების სამართლებრივ ხასიათს.

რაც შეეხება მიზეზობრივ კავშირს: რომელსაც, მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ქმედება გვევლინება როგორც დამდგარი შედეგის აუცილებელი პირობა, რომლის გარეშეც ეს შედეგი არ დადგებოდა და არც ასეთი საფრთხე შეიქმნებოდა.

⁸ მ. თოდუა, ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, გვ. 41.

⁹ ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. თბ., 2001, გვ. 366.

¹⁰ გ. ნაჭყებია, ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხისათვის, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 1, 2006, გვ. 72

¹¹ ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 376.

¹² ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 364.

ობიექტური შერაცხვის ინსტიტუტი, ისევე როგორც მიზეზობრივი კავშირი, წარმოადგენს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნაწილს. თუ ესენი არ გვაქვს, მაშინ შესრულებული შედეგიანი დელიქტის ქმედების ობიექტური შემადგენლობაც არ გვაქვს. თავდაპირველად ხდება გარკვევა იმისა, არის თუ არა მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. თუ არის, შემდეგ დგინდება უნდა შეერაცხოს თუ არა პირს ეს შედეგი.

დღესდღეობით დამკვიდრებულია ადეკვატური მიზეზობრიობის თეორია, რომელმაც ჩაანაცვლა ეკვივალენტური ანუ პირობათა ტოლფასოვნების თეორია. ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიით შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას¹³ ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.

რაც შეეხება ბრალს: სამოქალაქო სამართალში მოქმედებს უნივერსალური ფორმულა: თითოეული პასუხს აგებს მხოლოდ მისი ბრალით მიყენებული ზიანისათვის. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, როგორც რომაული სამართლებრივი აზროვნების ერთ-ერთი ფასეული ელემენტი, საყოველთაოდ აღიარებულია როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტურ სამართალში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისთვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს¹⁴ ეს დანაწესი მსგავსია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმისა (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის I პარაგრაფი), რომლის თანახმად, მოვალე პასუხს აგებს განზრახვის ან გაუფრთხილებლობისთვის, თუკი უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობა არ არის დადგენილი, ან არ გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან¹⁵.

გარდა ზემოთქმულისა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქო სამართალი იცნობს სამართალდამრღვევის ბრალეულობის პრეზუმფციას. კერძოდ, ის ივარაუდება ბრალეულად, მანამ არ დაამტკიცებს სამართალდარღვევაში საკუთარი ბრალის არარსებობას, იმას, რომ მიიღო ყველა ზომა, რაც მოეთხოვებოდა კონკრეტულ სიტუაციაში სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, ანუ მტკიცების ტვირთი მოვალის მხარეზეა.¹⁶

¹³ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 369

¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 395¹

¹⁵ ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, გვ. 375

¹⁶ Гражданское право под ред. Е.А. Суханова., 447.

2.2. სამოქალაქო ბრალის ცნება და მისი მახასიათებლები

თანამედროვე პოზიტიური სამოქალაქო სამართალი არ იცნობს ბრალის ცნებას, მას განსაზღვრავს დოქტრინა, რომელიც უარყოფს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას და მიიჩნევს, რომ ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნების დაცვა¹⁷. გერმანული დოქტრინა ბრალს განმარტავს როგორც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მომცველ ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო და სუბიექტურად გაკიცხვად ქმედუნარიანი პირის ქმედებას. ფრანგული სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით ბრალეული მოქმედება სახეზეა, თუ საქმე გვაქვს აკრძალულ მოქმედებასთან და კანონით პირზე დაკისრებული მოვალეობის დარღვევასთან. აღსანიშნავია ის, რომ ქართულ ცივილისტურ დოქტრინაში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ბრალის ცნება.

სახელშეკრულებო ურთიერთობიდან აღმოცენებული ვალდებულების დარღვევა აფუძნებს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია არსებობა გარკვეული წინაპირობებისა, რომლებიც ვალდებულების დარღვევის შემადგენლობას ქმნიან. ამ შემადგენლობის ელემენტებია: ქმედების მართლწინააღმდეგობა, მიყენებული ზიანი, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი და დამრღვევი სუბიექტის ბრალი.

ვალდებულების შეუსრულებლობა ბრალის გარეშეც ხელშეკრულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას ქმნის (გარდა ვადის გადაცილებისა, რომლის სამართლებრივ კონსტრუქციაში ბრალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს). ხოლო მართლწინააღმდეგობა, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი ვალდებულების დარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ობიექტურ ელემენტებად განიხილებიან.

მიყენებული ზიანის ანაზღაურება ერთ-ერთი უმნიშვნელვანესი სამართლებრივი საშუალებაა, რომლის გამოყენებითაც სამართალი სამოქალაქო ბრუნვაში ბალანსსა და სტაბილურობას უზურნველყოფს. ბუნებითი სამართლიდან მომდინარე ზოგადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს, ეჭვქვეშ არასდროს დამდგარა, თუმცა ამ პრინციპის რეალიზაცია უპირობოდ ვერ მოხდება. ზიანის ანაზღაურების, როგორც სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის ნებისმიერი მართლწესრიგი ითვალისწინებს წინაპირობებს, რომელთა არსებობა ან არარსებობა განსაზღვრავს ანაზღაურების დასაშვებობას,

¹⁷ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 370.

მისი ოდენობის ადეკვატურობას მიყენებულ ზიანთან და ა.შ. ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ წინაპირობებზე საუბრისას შეიძლება გამოიყოს რამდენიმე არსებითი ელემენტი, რომლებიც გავლენას ახდენენ სამართლებრივ შედეგზე. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი წინაპირობაა ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი პირის სუბიექტური დამოკიდებულების, ანუ მისი ბრალეულობის საკითხის გარკვევა.

პირის ქმედება მართლწესრიგის მიერ სავალდებულოდ მიჩნეული ნორმების საწინააღმდეგოდ უნდა იყოს მიმართული. თუ პირს თავისი ქმედებით კანონი არ დაურღვევია, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება დაუშვებელია.

ზიანის ანაზღაურება არ არსებობს ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ქმედების გარეშე. ქმედება გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ასევე თავის შეკავებას. ამდენად, ცნობიერი უარი მოქმედებაზე ასევე შეიძლება ზიანის ანაზღაურების ქმედებას-პირდაპირი კავშირი (მიზეზობრივი კავშირი) უნდა ჰქონდეს იმ უარყოფით შედეგთან, რომლის აღმოფხვრაც ზიანის ანაზღაურების უპირველესი დანიშნულებაა. თუ პირის ქმედებას არანაირი კავშირი არ აქვს შედეგის დადგომასთან, ამ შედეგის გამოსწორების (ანუ ზიანის ანაზღაურების) ვალდებულება პირს არ დაეკისრება. იგივე შეიძლება ითქვას ზიანის ფაქტის, როგორც ობიექტური შედეგის არსებობაზეც. არ შეიძლება ვინმეს დაეკისროს ისეთი ზიანის ანაზღაურება, რომელიც საერთოდ არ არსებობს.

ამგვარად, ბრალი გულისხმობს პირის მიერ კონკრეტული ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებას, რომელიც ობიექტური შეფასების საგანია. შესაბამისად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირი ბრალეულად მოქმედებდა, იგი ხაზს უსვამს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას, თუმცა მისი შეფასება ემყარება გარკვეულ ობიექტურ კრიტერიუმებს და არ განისაზღვრება კონკრეტული პირის სუბიექტური საზომით. მაგალითად, შესაძლოა პირი სულაც არ გრძნობდეს თავს ბრალეულად მეზობლის კუთვნილი თეთრი თავის მოკვლის გამო, რადგან, მისი აზრით, თავგები საზიზღარი არსებები არიან და ისინი საერთოდ არ უნდა არსებობდნენ. ეს მოსაზრება ვერ გახდება საფუძველი ვამტკიცოთ, რომ სუბიექტური შეფასებიდან გამომდინარე, თავის მკვლელმა არ უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

ბრალი შეიძლება გამოვლინდეს როგორც განზრახვის, ასევე გაუფრთხილებლობის ფორმით. ეს კერძო სამართლის აღიარებული პოსტულატია. ბრალის ფორმების სამართლებრივი შინაარსი კერძო სამართალში სისხლის სამართლის ანალოგიური ცნებების იდენტური არ არის. კერძო სამართალში განზრახვის დაყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვად პრაქტიკულ აზრს მოკლებულია და არ გამოიყენება, ვინაიდან განზრახვის არსებობა, სხვა წინაპირობებთან ერთად,

უკვე გულისხმობს ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას. სამოქალაქო სამართალი ძირითადად იყენებს განზრახვის იმ ცნებას, რასაც სისხლის სამართალი ადგენს. კერძოდ, სამოქალაქო სამართალში განზრახვა არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი, ანუ შედეგის ცოდნა და სურვილი მართლსაწინააღმდეგო შეგნებით¹⁸.

ასევე განსხვავებულია გაუფრთხილებლობის კლასიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხიც. თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის ნაცვლად, რაც სისხლის სამართლის კოდექსშია განმარტებული, კერძოსამართლებრივი გაუფრთხილებლობა მოიცავს უხემ და მარტივ გაუფრთხილებლობას.

განზრახვისაგან განსხვავებით, რომელიც კერძო სამართლის მიზნებისათვის დამატებით კონკრეტიზაციას აღარ საჭიროებს, გაუფრთხილებლობის დაყოფას კონკრეტული პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია. ქართული სამოქალაქო კოდექსი კვალიფიკაციისათვის ზოგჯერ მნიშვნელობას ანიჭებს გაუფრთხილებლობის რომელი ფორმა გვაქვს სახეზე, უხეში თუ მარტივი.

მაგალითად, 392-ე მუხლის თანახმად, კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი, თუ შემდგომში შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა ამ უკანასკნელის (მოვალის) განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო. აშკარაა, რომ კანონმდებელი მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევას ნორმით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს არ უკავშირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსამართლემ აუცილებლად უნდა გაავლოს ზღვარი გაუფრთხილებლობის ფორმებს შორის და ყოველ კონკრეტულ საქმეზე დაადგინოს, რომელ მათგანს ჰქონდა ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება დასაბუთებული ვერ იქნება.

განზრახვა სამართლით დაცული ინტერესის ან სიკეთის წინააღმდეგ გაცნობიერებულ მოქმედებას გულისხმობს. ამ დროს პირს შეგნებული აქვს, რომ მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა და მას სხვა პირისათვის ზიანის მიყენება მოჰყვება, თუმცა ის მიზანმიმართულად მიდის ასეთი შედეგის დადგომისაკენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ პირი შეიძლება არ აცნობიერებდეს, მაგრამ ასეთი გაცნობიერების ვალდებულება კონკრეტული ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობდეს. მაგალითად, როდესაც კვების პროდუქტების ექსპერტი მაღალტირაჟიან გაზეთში აქვეყნებს სტატიას და ამტკიცებს, რომ ცნობილი კომპანიის მიერ წარმოებული ჩვილი ბავშვებისათვის განკუთვნილი ფაფები სრულწლოვანების ასაკში ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს იწვევს, მისი განზრახვა, სიყალბის შემცველი ცნობების გავრცელებით ზიანი მიაყენოს კომპანიას, სახეზე

¹⁸ ბ.ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ.382

იქნება, თუ საყოველთაოდ (მათ შორის ექსპერტისთვისაც) ცნობილია, რომ კომპანია სულ ხუთი წელია რაც არსებობს და არც ერთ ადამიანს, ვინც ბავშვობაში მისი ფაფებით იკვებებოდა, სრულწლოვანების ასაკისათვის არ მიუღწევია. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ განზრახვის არსებობისათვის არ არის აუცილებელი დამრღვევის მიერ საკუთარი მიზნების პირდაპირი დეკლარირება. განზრახვის არსებობა დადასტურებულად ითვლება, თუ შეფასების ობიექტური სტანდარტი ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა.

უხემ და მარტივ გაუფრთხილებლობას შორის ზღვრის გავლების პრაქტიკული აუცილებლობა კიდევ უფრო ართულებს სწორ კვალიფიკაციასა და დასაბუთებული სამართლებრივი შედეგის მიღებას. გაუფრთხილებლობის კლასიკური განმარტება გულისხმობს დამრღვევი პირის მიერ გულისხმიერების/წინდახედულების ობიექტური ნორმის/სტანდარტის უგულებელყოფას.¹⁹

შესაბამისად, მარტივ და უხემ გაუფრთხილებლობას შორის განსხვავება ამ უგულებელყოფის ხარისხის მიხედვით უნდა მოხდეს. ხარისხის განსაზღვრა კი ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურ შეფასებაზეა დამოკიდებული. ნებისმიერ შემთხვევაში, განზრახვასთან გვექნება საქმე თუ გაუფრთხილებლობასთან, ბრალი ნორმატიული შეფასების საგანია²⁰ და სუბიექტური საზომის გამოყენება რეკომენდებული არ არის. შეფასების ნორმატიულობა ნიშნავს იმას, რომ უნდა შემოწმდეს გულისხმიერებისა და წინდახედულების იმ ხარისხით გამოვლენა, რაც ანალოგიურ პირობებში მყოფ ნებისმიერ პირს მოეთხოვება. ბრალეული პირის მტკიცება, რომ გულუბრყვილო და მიმნდობი ხასიათი აქვს და სინამდვილეში არც კი უფიქრია, რომ თავისი ქმედებით ვინმეს ზიანს მიაყენებდა, მხედველობაში არ მიიღება, თუ სასამართლო დაასკვნის, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით გულისხმიერებისა და წინდახედულების გამოვლენის ობიექტური სტანდარტი დარღვეულია.²¹

შედარებისთვის: გერმანული სამოქალაქო სამართლის თანახმად, ბრალეულად მოქმედებს ის, ვინც განზრახ ანუ შეგნებულად, ან გაუფრთხილებლობით ლახავს კანონით დაცულ ფასეულობას. განზრახვად მიიჩნევა ქმედების მართლწინააღმდეგობის ან პირზე დაკისრებულ მოვალეობებთან ქმედების წინააღმდეგობის შეცნობა და სურვილი მართლსაწინააღმდეგო შედეგისა. ხოლო გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამართლებრივი ბრუნვისათვის საჭირო გულმოდგინების უგულებელყოფას (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276-ე პარაგრაფი). ხოლო

¹⁹ Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, 12 Auflage, Bd II, BT, 1981, 595.

²⁰ იქვე

²¹ იქვე

ფრანგული დოქტრინა ასხვავებს განზრახ და გაუფრთხილებელ ბრალს, პირველს ახასიათებს როგორც სამართალდარღვევის, ზიანის მიყენების განზრახ მისწრაფებას, ხოლო მეორეს, – სამართლის სუბიექტის მოვალეობის დარღვევად გამოავლინოს სათანადო წინდახედულება და ყურადღება, შეცდომად, რომელსაც არ ჩაიდენდა მსგავს მდგომარეობაში მყოფი გონიერი, ყურადღებიანი, მზრუნველი ადამიანი.²²

მოპასუხის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება,²³ რაც არ გამორიცხავს მოპასუხის უფლებას, თავი დაიცვას სარჩელისაგან და თვითონაც წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოს მისი ბრალის საკითხის გარკვევაში დაეხმარება. მტკიცების დროს არ არის სავალდებულო, რომ მტკიცებულებებიდან დამრღვევის მიერ საკუთარი ბრალეულობის პირდაპირი დეკლარირება იკვეთებოდეს. სრულიად საკმარისია მოვლენათა განვითარების ისეთი ურთიერთკავშირის არსებობის დამტკიცება, რომელიც საშუალებას მისცემს სასამართლოს, შეაფასოს დამრღვევის სუბიექტური დამოკიდებულება თავისი ქმედებისა და დამდგარი შედეგებისადმი.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ბრალი ზიანის დადგომაში ურთიერთობის ყველა მხარეს იკვეთება. ხშირად ერთი მხარის განზრახვას ან გაუფრთხილებლობას თან ახლავს დაზარალებული მხარის მხრიდან სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებული სიკეთისადმი ასეთივე დამოკიდებულება. მაგალითად, ცხვრებს, რომლებიც მწყემსს ავტომაგისტრალზე გადაჰყავს, სიჩქარის გადაჭარბებით მიმავალი ავტომობილი დაეჯახა და დახოცა. მომხდარში ბრალი მიუძღვის არა მხოლოდ მძღოლს, რომელმაც მაღალი სიჩქარის გამო ვერ შეძლო ავტომობილის დამორჩილება, არამედ მწყემსსაც, რადგან მას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ სავალ გზაზე, რომელზეც ავტომობილები მაღალი სიჩქარით მოძრაობენ, ცხოველების გადაყვანა სახიფათოა.

ქართული სამოქალაქო კოდექსი შერეული ბრალის საკითხს საგანგებოდ აწესრიგებს. იგი ადგენს, რომ თუ ზიანის მიყენებას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული (415 I). საგულისხმოა, რომ შერეული ბრალის პრინციპი ძალაშია მაშინაც, როცა დაზარალებული არაფერს აკეთებს ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. სირთულეს ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა იმდენად

²² P. Саватье, Теория обязательств, М., 1972, 308.

²³ Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, 12 Auflage, Bd II, BT, 1981, 595.

შერეული ბრალის არსებობის დადგენა და კვალიფიკაცია, არამედ მისი ანაზღაურების ადეკვატურ ოდენობაში გარდასახვა.

ერთიანი და უნივერსალური კრიტერიუმები შერეული ბრალის დადგენისა და მისი პროპორციული ანაზღაურების განსაზღვრისათვის არ არსებობს. სასამართლო პრაქტიკამ ამ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოს ისეთი კატეგორიებით, როგორცაა ბრალის ხარისხი, დაზიანებული სიკეთის უნიკალურობა და მისი აღდგენის შეუძლებლობა და ა.შ. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ერთი მხარის ბრალის სიმძიმე და ხარისხი არ ახდენს გავლენას შერეული ბრალის კვალიფიკაციაზე. მაგალითად, ერთ-ერთი მხარის ბოროტი განზრახვა, დაზიანოს მეორის ქონება, არ გამორიცხავს ამ უკანასკნელის ბრალს, თუ ის თავისი პროვოკაციული მოქმედებით ხელს უწყობდა ზიანის გამომწვევ მოქმედებას. ამ შემთხვევაში დაზარალებულის ბრალი არ გამოირიცხება, ვინაიდან მან თავისი პროვოკაციული მოქმედებით ხელი შეუწყო ზიანის დადგომას და შეიძლება ითქვას, გამოიწვია კიდეც ის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების გამორიცხვას, რომ ზიანის წარმოშობას ან გაზრდას ხელი ხომ არ შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც.“ სამოქალაქო კანონმდებლობით, ზიანის მიმყენებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ბრალეული ქმედებისათვის, ანუ მისი პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. აღნიშნული გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული²⁴. მაგალითად, პაციენტის ბრალს გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებათა ზედმიწევნით კეთილსინდისიერად განხორციელება (სამედიცინო დაწესებულების მიერ ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საქმეებში). აღნიშნულში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის, ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით ნებისმიერი მანიპულაციის თუ პროცედურის ჩატარებამდე სამედიცინო მომსახურების გამწვევისათვის ინფორმაციის მიწოდება. პაციენტი ვალდებულია მისცეს სრულყოფილი ინფორმაცია თავისი პირადი მონაცემებისა და

²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 415¹

ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე. წარუდგინოს ზემოაღნიშნული სამედიცინო დოკუმენტაცია და შეასრულოს მკურნალობისათვის დანიშნული ყველა პროცედურა.“²⁵

ამგვარად, უზენაესი სასამართლო შერეული ბრალის გამორიცხვისათვის აუცილებლად მიიჩნევს აბსოლუტური კრიტერიუმის გამოყენებას. მეორე მხარის ქმედებაში ბრალეულობის ნიშნების უმნიშვნელო გამოკვეთაც კი, თუ ეს საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, უკვე იძლევა საფუძველს შერეული ბრალის მტკიცებისათვის. მაგალითად, თუ პაციენტი თვითნებურად შეწყვეტს მკურნალობის კურსს იმ მოტივით, რომ მის ეფექტურობაში ეჭვი შეეპარება, ამით მეორე მხარეს ეძლევა შესაძლებლობა დამდგარი უარყოფითი შედეგის მიღწევაში პირველის „დამსახურებაზე“ ისაუბროს.

ზიანის მიმყენებელი ხშირად მიმართავს შერეული ბრალის მტკიცების სტრატეგიას და ცდილობს უარყოფითი შედეგის დადგომაზე პასუხისმგებლობა, ნაწილობრივ მაინც, გადააკისროს დაზარალებულს. სათანადო მტკიცებულებების არარსებობის პირობებში ასეთი მცდელობები წარუმატებლად სრულდება.²⁶ სასამართლოს ვალია დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით მოეკიდოს მსგავს შემთხვევებს, არ დაუშვას შერეული ბრალი იქ, სადაც ის არ არის და, პირიქით.

შერეული ბრალის არსებობისას შეფასების სტანდარტი ორივე მხარის ბრალის განსაზღვრაში მსგავსი უნდა იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეულის ბრალი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, მაგრამ საბოლოო სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა უნდა მოხდეს დელიქტის ერთ მთლიანობაში გააზრების შედეგად. რომელიმე მხარის ბრალის საერთო კონტექსტიდან მოწყვეტით შეფასება დასაბუთებულ შედეგს ვერ განაპირობებს.

შერეული ბრალის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ბიზნეს ურთიერთობებში, რომლებიც სირთულითა და კომპლექსურობით ხასიათდება. გრძელვადიან ურთიერთობებში, ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას ხშირად მოსდევს მეორე მხრიდან „საპასუხო შეუსრულებლობა“, რაც აღრმავებს სამართლებრივ კონფლიქტს და სასამართლომდე მიჰყავს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი. შერეული ბრალის შეფასებისას სასამართლომ მოცემულ დავასა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, როგორც ერთ მთლიანობას ისე უნდა შეხედოს და გაითვალისწინოს, რა მიზანს ისახავდნენ მხარეები, როდესაც კონკრეტულ ხელშეკრულებას დებდნენ. თუ ბრალეული ქმედება ორივე მხრიდან

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის #ას-260-244-2011 განჩინება.

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის #ას-1169-1189-2011 განჩინება. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივლისის #ას-1052-1082-2011 განჩინება.

ფიქსირდება, ორივე შეეცდება, რომ საკუთარი ქმედება წარმოაჩინოს, როგორც მოწინააღმდეგის ქმედების „ლოგიკური შედეგი“.

თავი III. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ცალკეული სახეები

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი ყოველი კულტურული მართლწესრიგის ქვაკუთხეა.²⁷ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცალკეული პიროვნების იმ სამართლებრივი სფეროს განკერძოებისთვის, რომელშიც წარმატებით შეიძლება განვითარდეს მისი ინდივიდუალობა.

ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელებისას პირმა სხვათა სამართლებრივი ინტერესები მხოლოდ იმ ზომით უნდა გაითვალისწინოს, რამდენადაც არ დაარღვევს მათ სიფრთხილის აუცილებელ ღონისძიებათა დაცვისას, არ მიაყენებს ზიანს.²⁸

ზიანის ანაზღაურებაზე პირს ვალდებულს ხდის არა თავისთავად ზიანი, არამედ ბრალი. თუ ზიანის დადგომა გამოწვეულია ისეთი შემთხვევითი გარემოებით, რაც არ არის დამოკიდებული სამართლის ნორმის დამრღვევის ნებაზე, პირი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.

სამოქალაქო სამართლის დოქტრინა ერთმანეთისაგან განასხვავებს უბრალო შემთხვევასა და კვალიფიციურ შემთხვევას, დაუძლეველ ძალას. ორივე მათგანი საგანგებო ხასიათის, გაუთვალისწინებელი, აუცდენელი მოვლენაა. შემთხვევა შინაგანი, ხოლო დაუძლეველი ძალა გარეგანი ხასიათისაა პირის იმ საქმიანობასთან მიმართებით, რასაც უკავშირდება ზიანის წარმოშობა. ამასთან, თუ ამ მოვლენათა წინასწარ განჭვრეტა შესაძლებელი იქნებოდა, უბრალო შემთხვევის თავიდან აცილებაც მოხდებოდა (მაგალითად, მოვაჭრე სუბიექტს რომ სცოდნოდა, მის მიერ შეთავაზებულ საქონელზე მომხმარებელთა მოთხოვნილება შემცირდებოდა, ის აღარ შეიძენდა ახალ საქონელს და ზიანს თავიდან აიცილებდა), ხოლო დაუძლეველი ძალის გარდუვალობა ამ შემთხვევაშიც სახეზე იქნებოდა.

დაუძლეველ ძალად მიიჩნევენ როგორც ბუნებრივ (წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ.), ისე საზოგადოებრივ მოვლენებს (საომარი მოქმედებები, გაფიცვები და ა.შ.).²⁹

მოვალის ნებისგან დამოუკიდებელი გარემოებების არსებობის დროს მისი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს როგორც უნიფიცირებული აქტები, ისე ამა თუ იმ ქვეყნის პოზიტიური სამართლის დანაწესები. გაეროს

²⁷ნ. ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი N1, თბილისი, 2009, გვ 151

²⁸კ. ცვაიგერტი, ჰ.კოტცი., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ-2., თბ.2001. გვ. 339.

²⁹ Гражданское право, под ред. А.И Сергеева и Ю. К. Толстого., ч. I., М., 1996, 505.

საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის კონვენციის თანახმად, ხელშეკრულების მხარე თავისუფლდება შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ეს გამოწვეულ იქნა დაუძლეველი ძალის ან ისეთი გარემოების შედეგად, რომლის გათვალისწინებაც მას არ შეეძლო და რომელთა არსებობაც არ არის მის ნებაზე დამოკიდებული.³⁰

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებების თანახმად, მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ჩაითვლება საპატიოდ, თუ იგი დაამტკიცებს, რომ შეუსრულებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი წინააღმდეგობით და ხელშეკრულების დადების მომენტში მისი გათვალისწინება, წინააღმდეგობის ან მისი შედეგების თავიდან აცილება თუ დაძლევა, გონივრული თვალსაზრისით მას არ მოეთხოვებოდა (8:108 მუხლი).³¹

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის (1147-ემუხლი) თანახმად, მოვალე თავისუფლდება ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია გარეგანი მიზეზით, რაც მას ვერ დაბრალდება.³²

ზემოთქმულის მიუხედავად, როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართალი, იცნობს პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევებს იმ დროსაც, როცა არსებობს მოვალისაგან დამოუკიდებელი მიზეზები. თუ კონტინენტური ევროპის სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გამონაკლისია საერთო წესიდან, საერთო სამართალში, კერძოდ, სახელშეკრულებო სამართალში ის ზოგადი პრინციპია.

მაგალითად, ამერიკულ სამართალში ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის პირობა, განიხილება ძირითადად დელიქტურ სამართალში, ხოლო ხელშეკრულების დარღვევისას მოვალისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას ბრალის არსებობაზე მითითება სავალდებულო არ არის,³³ მნიშვნელობა აქვს არა იმას, მოვალემ ვალდებულება დაარღვია ბრალეულად თუ ბრალის გარეშე, არამედ თავად ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტს.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას მეწარმე სუბიექტთა მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადგენს, მაგალითად, ფრანგული და რუსული სამართალი.

³⁰ ზ. ძლიერიშვილი ზ., ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 144.

³¹ ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები, ქართული კერძო სამართლის კრებული, 255.

³² კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ-2., თბ. 2001., გვ. 190.

³³ ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 373.

კერძოდ, ფრანგული სავაჭრო სამართალი ითვალისწინებს ამ წესს, თუ ხელშეკრულებით არ არის დადგენილი პასუხისმგებლობა მხოლოდ ბრალისათვის.³⁴

ასევე, რუსეთის სამოქალაქო კოდექსის (401-ე მუხლის მე-3 ნაწილი) თანახმად, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, პირი პასუხს აგებს კონტრაქტის წინაშე როგორც ბრალის არსებობისას, ისე შემთხვევით ზიანის დადგომის დროს, თუ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი არ არის დადგენილი კანონით ან ხელშეკრულებით.³⁵

სახელშეკრულებო სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ხშირად უკავშირებენ მოვალისა და კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას, გვაროვნულად განსაზღვრული ნივთის დაღუპვას, ხოლო დელიქტურ სამართალში მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიყენების ფაქტს.

³⁴ А.Ю. Бушев., О.А. Макарова, В.Ф. Попондопуло Коммерческое право зарубежных стран, М., СПб, 2003, 125

³⁵ Е.А. Суханов., დასახ. ნაშრომი, 450.

3.1. პასუხისმგებლობა მუშაკისათვის მიყენებული ზიანისათვის

პრინციპი-„არ არსებობს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე“ მოქმედებდა დასავლეთის ქვეყნებში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლომდე. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინდუსტრიალიზაციის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია ზიანის წარმოშობი რისკების ზრდა, შესაბამისად დღის წესრიგში დადგა საკითხი ბრალის პრინციპის გადახედვის მიზანშეწონილობის თაობაზე მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპის სასარგებლოდ. გარდაუვალი გახდა საწარმოებისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დამკვიდრების მცდელობა, მიუხედავად იმისა დაზიანებაში თვით მუშაკს მიუძღვის თუ არა რაიმე ბრალი. ამასთანავე დასავლეთში ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა მუშათა სავალდებულო დაზღვევაც.

ცნობილი ფრანგი ცივილისტი ჟიულიო და ლა მორანდიერი მიიჩნევდა, რომ საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე მეწარმეს უნდა დაეკისროს, ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობიდან მოგებას ის ღებულობს და შესაბამისი რისკიც მან უნდა იტვიროს.³⁶

აღსანიშნავია, რომ ყველა ის პირობა, რამაც თავის დროზე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა წარმოშვა დღესაც არ შეცვლილა. არგუმენტი-რომ წარმოების შედეგად მეწარმე იღებს მოგებას და შესაბამისად წარმოების პროცესში მომხდარი უბედური შემთხვევით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების რისკიც მან უნდა გაწიოს, სრულიად სამართლიანია.

დავით სუხიტაშვილი მიიჩნევს, რომ მოსაზრება იმის შესახებ, რომ მეწარმე საკუთარი ქონებით აგებს პასუხს ბრალის გარეშე-მოჩვენებითა...ფაქტობრივად ზარალის ანაზღაურება ხდება დამატებითი ღირებულებიდან, რაც თავად მუშაკის მიერ არის შექმნილი და მითვისებული მეწარმის მიერ.³⁷

მორანდიერი ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის აუცილებლობას ერთი მხრივ სოციალურ-ეკონომიკური პოზიციებიდან ხსნის, ხოლო მეორე მხრივ მოითხოვს, ასეთ შემთხვევაში პირმა, მოცემულ შემთხვევაში მეწარმემ, თავისი მოქმედებით წარმოშობილი შედეგისთვის რიკიც თავად გაწიოს. რაც ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის საფუძვლად რისკს მიიჩნევს. სამოქალაქო სამართალი რისკად თვლის წინასწარ გაუთვალისწინებელ უარყოფითი შედეგის გამომწვევ საფრთხედ. საწარმოს მფლობელებს ან მომეტებული საფრთხის წყაროს სხვა მფლობელებს გამომდინარე სამოქალაქო კოდექსის 999² და მე-1000 მუხლებიდან გაცნობიერებული უნდა

³⁶ Л.ж. Морандер. Гражданское право Франции. Том 1. М.1960., 395-396

³⁷ დ. სუხიტაშვილი., თ. სუხიტაშვილი , სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ.2016., გვ.464

ჰქონდეთ, რომ საფრთხის დადგომის რისკი განხილულ იქნება ბრალის ფორმად, თუმცა ის იმდენად დაბალი ხარისხის ბრალია, რომ მას ფარავს უფრო ნათლად გამოკვეთილი არაბრალეულობა. სწორედ აქედან გამომდინარე იურისპრუდენციაში დამკვიდრდა ტერმინი-ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა.

სადღესოდ თავისთავად ნაგულისხმები ფაქტია სამუშაო ადგილზე უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ზიანის ანზღაურების შესახებ სარჩელის აღძვრა დაზარალებულის მხრიდან მისი დამქირავებლის ან მეპატრონის ბრალის არსებობა-არარსებობის მიუხედავად.³⁸

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 473-ე მუხლში შემდეგი სახით იყო ფორმულირებული: „თუ მუშაკი თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დასახიჩრდა ან მისი ჯანმრთელობა სხვაგვარად დაზიანდა იმ ორგანიზაციის ან მოქალაქის ბრალით, რომლებიც მოვალენი არიან მისი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანები იხადონ, მაშინ ამ ორგანიზაციამ, ან მოქალაქემ უნდა გადაუხადოს დაზარალებულს მიყენებული ვნების საზღაური“.³⁹ სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებდა თუ რაში გამოიხატებოდა საწარმოს ბრალეული მოქმედება. საქართველოს 1973 წლის შრომის კანონთა კოდექსი ორივე მხარეს, როგორც საწარმოს, ასევე მუშაკს აკისრებდა ვალდებულებებს. საწარმოს ევალებოდა თანამშრომლებისთვის შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა, ხოლო მათი შეუსრულებლობა თუ გამოიწვევდა საწარმოო ტრამვას ან მუშაკის სხვა სახის დაზიანებას ის განხილულ იქნებოდა საწარმოს ბრალეულ მოქმედებად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, მ-88, დელიქტური ურთიერთობებისათვის დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად ზიანის მიმყენებელი თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისგან თუ დაამტკიცებდა, რომ მას ზიანის მიყენებაში არ მიუძღვოდა ბრალი. რაც ნიშნავდა, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა თავად საწარმოს, მას უნდა დაესაბუთებინა, რომ მუშაკისთვის მიყენებული ზიანის დადგომაში საწარმოს არ მიუძღოდა ბრალი. ერთი შეხედვით იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხდებოდა დასაქმებულის ინტერესების დაცვა, თუმცა სინამდვილეში საწინააღმდეგო გარემოებებთან გვაქვს საქმე. კერძოდ საუბარია სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა ცენტრალური პრეზიდიუმის 1985 წლის 13 თებერვლის ერთობლივი ინსტრუქციის მესამე პუნქტზე, რომელშიც მოცემული იყო იმ მტკიცებულებების ნუსხა, რომლითაც უნდა

³⁸ დ. სუხიტაშვილი, თ.სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ.2016., გვ.465

³⁹ საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი, მ. 473. 1964 წ.

დადასტურებულიყო საწარმოს მხრივ შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების დარღვევის შემთხვევები და შესაბამისად საწარმოს ბრალეულობა. გამომდინარე იქედან, რომ საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის ფაქტისა და მხარეთა ბრალეულობის თაობაზე მტკიცებულებას საწარმოს ადმინისტრაცია ქმნიდა, მას ადვილად შეეძლო მეორე მხარისთვის-მუშაკისთვის ბრალეულობის ტვირთის დაკისრება. რაც ხშირ შემთხვევებში საშუალებას აძლევდა საწარმოს, პასუხისმგებლობისგან სრულად თავის დაღწევა თუ არა, უბედური შემთხვევის ბრალეულობა მუშაკთან ერთად გაენაწილებინა და პასუხისმგებლობა დამდგარიყო შერეული ბრალისთვის. სწორედ ამ შესაძლებლობას ითვალისწინებდა საქართველოს სსრ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 471-ე მუხლი შერეული ბრალის თაობაზე და სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 3 ივლისის დამტკიცებული წარმოება, დაწესებულება, ორგანიზაციის მიერ შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშა-მოსამსახურეების დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ წესების მე-10 პუნქტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თუ მუშაკის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი გამოწვეული იყო არა მხოლოდ საწარმოს ბრალეული მოქმედებით, არამედ მუსაკის უხეში გაუფრთხილებლობით, ზიანის ანაზღაურების მოცულობა უნდა შემცირდეს დაზარალებულის ბრალის ხარისხის შესაბამისად. უხეშ გაუფრთხილებლობად ითვლებოდა მუშაკის მიერ შრომის უსაფრთხოების დადგენილი წესების დარღვევა, მაგალითად არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაძლებელია სრულებითაც არ ყოფილიყო ზიანის გამომწვევი ერთადერთი გარემოება.

რაც შეეხება დასავლეთის ქვეყნებს: მაგალითად, საფრანგეთში ჯერ კიდევ 1898 წელს შევიდა ძალაში კანონი საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ, რომლის თანახმად, მუშებს საწარმოო ტრამვის მიღებისას უფლება ჰქონდათ, ზიანის ანაზღაურება მოეთხოვათ დამსაქმებლისგან ინციდენტში მისი უშუალო ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც, მაშინ, როდესაც საქართველოში, ზემოთმოყვანილი საკანონმდებლო ბაზის და სასამართლო პრაქტიკის გავითვალისწინებთ, მე-20 საუკუნის ბოლოს მხოლოდ ბრალის პრინციპის შეზღუდვის ჩანასახთან გვექნა საქმე. რაც ნიშნავს, რომ, დაზარალებული მუშაკის ბრალი დამსაქმებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ან პასუხისმგებლობის შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენდა.⁴⁰

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის

⁴⁰ დ. სუხიტაშვილი, თ.სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ.2016., გვ.468

პასუხისმგებლობის საკითხისადმი მიდგომა არაერთგვაროვან ხასიათს ატარებდა. მაგალითად, პირველად პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებით, ხოლო შემდეგ საქართველოს 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ეკისრებოდა დამსაქმებელს, თუ ზიანი გამოწვეულ იქნებოდა დამსაქმებლის ბრალეული ქმედებით. აღნიშნულისგან განსხვავებით შრომის კოდექსის 35-ე მუხლის მე-6 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ “დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.”⁴¹

აღნიშნული ნორმა ბრალის პრინციპით არა არის შებოჭილი, არც ამავე კოდექსით და არც სხვა კანონებით. ხოლო ზემოთაღნიშნული პრეზიდენტის ბრძანებულება და მთავრობის დადგენილება ძალდაკარგულადაა გამოცხადებული. ამდენად დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პირველად დამოუკიდებელი საქართველოს შრომის კოდექსმა დაამკვიდრა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დამსაქმებლისათვის მისი ბრალეული მოქმედების არსებობა-არარსებობის მიუხედავად. ამჟერადაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ჯანმრთელობის ან სხეულის სხვაგვარ დაზიანებაში თავად დაზარალებულს მიუძღვის ბრალი თუ არა.

⁴¹ საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 35

3.2. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის

დელიქტურ სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის გავრცელებული შემთხვევაა მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიყენება. ურთიერთობა ყოველთვის იყო და რჩება აქტუალურად. საკითხი სპეციალური დელიქტებით განიხილება. სპეციფიკა შემდეგში მდგომარეობს, რომ მომეტებული საფრთხის წყაროთი ზიანის მიყენების მექანიზმი და პირობები განსხვავებულია ზოგადად ზიანის მიყენების შემთხვევებისაგან. მომეტებული საფრთხის წყაროს თავისებურებებიდან გამომდინარე იბადება მრავალი კითხვა, მაგალითად: არსებობს თუ არა მომეტებული საფრთხის წყაროს ცალკეული ან გვარეობითი სახეები, თუ არა, მაშინ რას ეფუძნება კანონი ან სასამართლო პრაქტიკა, როცა ცალსახად უარყოფს ბრალეულობის პრინციპს? რას მოიცავს და რას წარმოადგენს თავად მომეტებული საფრთხის წყარო? რა გავლენას ახდენს დაზარალებულის ბრალი დელიკტენტის პასუხისმგებლობაზე და ა.შ.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ვერც სამოქალაქო კოდექსები და ვერც სასამართლო პრაქტიკა ცალსახად და ამომწურავად ვერ ცემენ ამ კითხვებზე პასუხს. სწორედ ამიტომ ბევრ ქვეყანაში მკაცრ პასუხისმგებლობას სამოქალაქო კოდექსებთან ერთად სპეციალური კანონები აწესრიგებენ. მაგალითად, გერმანიაში დელიქტური სამართლის არსს ბრალის პრინციპში ხედავენ, შესაბამისად მკაცრ პასუხისმგებლობას არანორმალურ სამართლებრივ მოვლენად გამოწვევისად მიიჩნევენ. ითვლება, რომ მკაცრი პასუხისმგებლობა უფრო დაბალ იურიდიულ სტატუსს იმსახურებს და აქედან გამომდინარე არა კოდექსით, არამედ ცალკეული სპეციალური კანონით უნდა მოწესრიგდეს.⁴²

ამ მხრივ გამოწვევისად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, რომლის 1384-ე მუხლის პირველი აზნაცი სასამართლოების მიერ იმდენად გაფართოებულად არის გაგებული, რომ მკაცრი პასუხისმგებლობის ახალი სახეობების წარმოქმნის შემთხვევაში მათ მოსაწესრიგებლად ახალი სპეციალური კანონების მიღების საჭიროება არ წარმოიშობა. მაგალითად, რკინიგზის, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ელექტროენერჯის მწარმოებელი, გადამცემი დანადგარების, გაზისა და სხვა საშიში მასალის გადასაზიდი საშუალებების მფლობელთა

⁴² კ.ცვაიგერტი, ჰ.კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ-2., თბ.2001., გვ.342

პასუხისმგებლობა ისეა განმარტებული სასამართლო პრაქტიკის მიერ, რომ ყველა ეს შემთხვევა მოქცეულია კოდექსის 1384-ე მუხლის პირველ აბზაცში.⁴³

მთლიანობაში მიუხედავად მრავალფეროვანი განმარტებებისა არ არსებობს მომეტებული საფრთხის წყაროს გაგებისადმი ერთიანი მიდგომა.

დოქტრინის თანახმად, ამ ცნებაში მოიაზრება ის ობიექტები, რომელთა თვისებების გათვალისწინებით შეუძლებელია მათზე ადამიანის მიერ სრული კონტროლის განხორციელება (ობიექტის თეორია) ან საქმიანობა, რომელიც ქმნის მომეტებულ საფრთხეს გარშემო მყოფთათვის (ქმედების თეორია)⁴⁴, მიუხედავად წინდახედულების სათანადო ზომების მიღებისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სამართლის სისტემაში სასამართლო განსაზღვრავს ამგვარ საქმიანობას შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

- 1) რისკის ხარისხი ანუ არსებობს თუ არა ზიანის მიყენების მომეტებული რისკი;
- 2) ადამიანის შესაძლებლობა, შეაჩეროს აღნიშნული საქმიანობიდან გამომდინარე საფრთხე;
- 3) მოცემული საქმიანობის უჩვეულო ხასიათი;
- 4) საქმიანობის განხორციელების ადგილის მიზანშეწონილობა;
- 5) მოცემული საქმიანობიდან გამომდინარე საზოგადოებრივი სარგებლისა და საზოგადოებრივი საშიშროების ურთიერთმიმართება.

ქმედების თეორიის კარგი გამოვლენა იყო საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის, რომლის მიხედვით, ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია გარშემომყოფთათვის მომეტებულ საფრთხესთან ვალდებულნი არიან ანაზღაურონ მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან თვითონ დაზარალებულის განზრახვით. ქმედების თეორია დღესაც აქტიურად მოქმედია რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსში (მ.1079) და სასამართლო პრაქტიკაში. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 28 აპრილის დადგენილებით განმარტებულია, რომ მომეტებული საფრთხის წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ყოველგვარი საქმიანობა, რაზედაც ადამიანის მხრივ მასზე სრული კონტროლის დაწესება შეუძლებელია და ამიტომ არსებობს ზიანის წარმოშობის ალბათობა.

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი გვამღვეს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ მასში მოცემული მომეტებული საფრთხის წყაროს გაგება მიესადაგება ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილ ორივე კონცეფციას-ქმედების და ობიექტის თეორიებს მიესადაგება. მაგალითად კოდექსის 999

⁴³ დ.სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ.2016., გვ.470

⁴⁴ К. Осаке, Сравнительное правоведение в схемах. Общая и особенная часть, М., 2002, 268.

მუხლი, სადაც საუბარია მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების მფლობელის პასუხისმგებლობაზე: თუ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, გამოხატავს ქმედების თეორიის კონცეფციას, ვინაიდან ამ ნორმაში აქცენტი მფლობელის მიერ სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე გაკეთებული, რაც აქტიური ქმედების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ობიექტის თეორიის შესაბამისი კონცეფცია კი კოდექსის 1000-ე მუხლშია მოცემული. სადაც საუბარია ნაგებობიდან, ნაგებობაში წარმოებულ და მოთავსებულ ენერგიაზე, ხანძარსაშიშ და აფეთქებასაშიშ, შხამიან ან მომწამვლელ ნივთიერებებზე, რომლებიდანაც მომდინარეობს მომეტებული საფრთხე. მატერიალური ნივთები იმ შემთხვევაში ჩაითვლება მომეტებული საფრთხის წყაროდ თუ მასზე ადამიანის სრული კონტროლი ვერ ხორციელდება.

მიუხედავად ამ თეორიების რადიკალურად განსხვავებული პოზიციებისა, მათი მიმდევრები მათ შორის მკაცრ გამიჯვნას არ ახდენენ. პირიქით, ისინი ცდილობენ ისინი ერთმანეთს დაუკავშირონ და ერთიანობაში განიხილონ. პროფესორ სერგეევის მოსაზრებით მომეტებული საფრთხის წყარო დასაშვებია განიმარტოს „ქმედების“ კონცეფციის გადმოსახედიდან „ობიექტის“ კონცეფციის გათვალისწინებით, მაგრამ ორივე შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი ერთიანი და უწყვეტი კავშირი.⁴⁵

სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ გარშემომყოფთათვის მომეტებული საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ნებისმიერი მატერიალური საგანი მისი ფორმისა და შემადგენლობის მიუხედავად.

მომეტებულ საფრთხის წყაროდ მიიჩნევა: სატრანსპორტო საშუალებები, მაღალი ძაბვის ენერგია, ქიმიური, ბიოლოგიური ნივთიერებები, გარეული ცხოველები და ა.შ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-1000-ე მუხლებით მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა მის მფლობელს ეკისრება, ამავე დროს არა აქვს მნიშვნელობა კანონიერი მფლობელია ის თუ უკანონო, ან კეთილსინდისიერია თუ არაკეთილსინდისიერი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მფლობელობის ობიექტური თეორიისკენ მიმხრობის გათვალისწინებით კანონიერ მფლობელად უნდა მივიჩნიოთ ნამდვილი გარიგების საფუძველზე-ნასყიდობის, ქირავნობის, იჯარის, შენახვის, თხოვებისა და სხვა გარიგებით ან სხვა უკანონო გზით წარმოშობილი მფლობელობა.

⁴⁵ Гражданское право. Часть 2, под ред. А. Сергеева.. М.1998, с. 732-733

სამოქალაქო კოდექსის 999⁴⁶ -მუხლით „თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია მფლობელის ნაცვლად ანაზღაუროს ზიანი.“⁴⁶

სამოქალაქო სამართალი იმ პირებს, რომლებიც მართლზომიერად ახორციელებენ მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაკავშირებულ საქმიანობას, აკისრებს სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელად არ ითვლება ის, ვინც შრომითი ურთიერთობის საფუძველზე ასრულებს მისი მართვის ფუნქციას. შესაბამისად, დაზარალებულის წინაშე პასუხისმგებელია არა ეს პირი, არამედ წყაროს მფლობელი, რომელსაც, თავის მხრივ, შეუძლია, რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს მას, თუ ზიანი წარმოიშვა ამ პირის ბრალეული ზემოქმედებით საფრთხის წყაროზე.⁴⁷

იმ შემთხვევაში, თუ მომეტებული საფრთხის წყარო პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაშია, პასუხისმგებელია პირდაპირი მფლობელი, ხოლო მასზე თანასაკუთრების არსებობისას ის, ვინც ზიანის მიყენების მომენტში ახორციელებდა ფაქტობრივ ბატონობას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა მიუთითებდა მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელისა და დროებითი მოსარგებლის სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე.

მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის ბრალი ივარაუდება. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება შესაძლებელია, თუ პირი დაამტკიცებს, რომ ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის ან რაიმე სხვა გარეგანი მიზეზის გამო, რაც არ უკავშირდება ნივთს ან მასთან დაკავშირებულ საქმიანობას, დაზარალებულის ბრალეული მოქმედებით⁴⁸ ან სხვა პირთა მარლთსაწინააღმდეგო მოქმედებით წყაროს მფლობელის დაუფლებიდან მისი ნების წინააღმდეგ გამოსვლის შედეგად (რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის I პუნქტი).

დღეს უკვე სადაო არ არის, რომ მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის მისი მფლობელი პასუხს აგებს ბრალის გარეშე, მაგრამ პასუხისმგებლობა ზოგჯერ უფრო მკაცრია, ზოგჯერ კი-უფრო შერბილებული. პასუხისმგებლობა მით უფრო მკაცრია, რაც ნაკლებია პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები. ზოგადად სამოქალაქო სამართალში პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად მიჩნეულია დაუძლეველი ძალა, შემთხვევა, დაზარალებულის ბრალი, თუმცა კანონით ან მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ასეთად სხვა გარემოებაც იყოს გათავალისწინებული. ამასთანავე აღსანიშნავია, ის, რომ კოდექსის 999-1000-ე მუხლები სპეციალური ნორმებია და ამიტომ ამ ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევებში

⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი., მუხლი 999.,

⁴⁷ იქვე

⁴⁸ კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ-2., თბ. 2001., გვ. 355.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთადერთ საფუძვლად მხოლოდ დაუძლეველი ძალა გამოიყენება, გარდა საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციით გამოწვეული შემთხვევისა, როცა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლად დაზარალებულის ბრალი არის მიჩნეული. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრი მაგალითი სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით არის გათვალისწინებული, რომლის მიხედვით რადიაციული ნივთიერების გამოყენებით გამოწვეული ზიანი უნდა აანაზღაუროს მისმა გამომყენებელმა. პასუხისმგებლობის გამომრიცხავ რამე გარემოებას კანონი ამ შემთხვევისათვის არ აწესებს, ამიტომ რადიაციული ნივთიერების გამოყენებით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა უპირობოდ მის გამომყენებელს დაეკისრება. მსგავსი წესია დადგენილი იმ შემთხვევისათვის, როცა ზიანი გამოწვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებით.

რაც შეეხება საჰაერო ტრანსპორტით გამოწვეული ზიანისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას, მას საჰაერო კოდექსი აწესრიგებს. კოდექსის 77-ე მუხლი გადამყვან-გადამზიდველისათვის ადგენს პასუხისმგებლობას ზიანისათვის, რაც გამოწვეულია მგზავრის გარდაცვალებით, დასახიჩრებით ან სხეულის სხვაგვარი დაზიანებით თუ უბედური შემთხვევა მოხდა აეროპორტის საზედამხედველო არეში ან საჰაერო ხომალდზე. „თუ გადამყვან-გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ მგზავრის გარდაცვალება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა გამოწვეულია თვით დაზარალებულის მიზეზით, იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.“ სავარაუდოდ აქ დაზარალებულის განზრახ ბრალზეა საუბარი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევები უნდა გავმიჯნოთ ამავე ნორმის მე-2 ნაწილით დადგენილი შემთხვევებისგან, რომლის მიხედვითაც ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა:

1. ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მგზავრს ეს ტვირთი თან მიაქვს და

2. ზიანდება სატრანსპორტო საშუალებების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ნივთი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ზიანის მიმყენებელი სატრანსპორტო საშუალების მფლობელი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურებისაგან.⁴⁹

ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების მფლობელი პასუხს აგებს საერთო წესით სახელშეკრულებო ვალდებულების შესუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

⁴⁹ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ.2016., გვ.477

აღსანიშნავია, რომ რიგი ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხს აქცევს. განსაკუთრებით მკაცრია ინგლისის სასამართლოების დამოკიდებულება ავტომანქანის მესაკუთრეებისადმი, როცა ავტომანქანის ექსპლუატაციით მიყენებული ზიანისათვის მათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. ხოლო მას შემდეგ, რაც 1930 წელს ავტომანქანის მესაკუთრეებისათვის შემოღებულ იქნა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, დაზარალებულის ინტერესების დასაცავად და მოპასუხეების საწინააღმდეგოდ სასამართლოებმა დაიწყეს „დაუდევრობის შესახებ ნორმების გამოჩორკნა“, რათა მზღვევლები აემულებინათ მოსარჩელებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ამას სასამართლო დაუფარავად აკეთებდა.

მეცნიერთა წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანისათვის მისი ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, თუ ზიანი მიყენებულია სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დროს.⁵⁰ ზოგადად თუკი ერთი ავტომანქანა შეეჯახა მეორე გაჩერებულ ავტომანქანას, მიიჩნევა, რომ გაჩერებული ავტომანქანის მფლობელის მიმართ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუმცა არ არის გამორიცხული, ცალკეულ შემთხვევებში გაჩერებული ავტომანქანა „ზიანის გამომწვევის საწყისი მიზეზი“ იყოს. ასეთად უნდა ჩაითვალოს ღამე, ბურუსით მოცულ მკვეთი მოსახვევის კუთხეში მანქანის გაჩერება.

ასევე მნიშვნელობა აქვს ორი ან მეტი საფრთხის წყაროთი სატრანსპორტო საშუალებით მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას პასუხისმგებლობის გადანაწილებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არსებობს ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა. მაგალითისთვის რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი სპეციალური ნორმით აწესრიგებს ამ ურთიერთობას. კერძოდ, კოდექსის 1079-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ რამდენიმე მომეტებული საფრთხის წყაროს ურთიერთზემოქმედებით მესამე პირს მიაღდა ზიანი, მიყენებული ზიანი მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელმა უნდა აანაზღაუროს.⁵¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლში საუბარია, რომ თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად. ვინაიდან ეს დათქმა ზოგადი ხასიათისაა შესაბამისად დელიქტით გამოწვეულ ყველა შემთხვევას ეხება, მათ შორის განსახილველ შემთხვევასაც და ამდენად რამდენიმე მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის მათი მფლობელებიც პასუხს აგებენ სოლიდარულად, იმისდამიუხედავად ვისი

⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ.2. თბ. 2001., გვ.407

⁵¹ დ. სუხიტაშვილი., თ.სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ.2016. გვ.479

ბრალით მოხდა სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება. სხვა ვითარებაა, თუ ორი ან მეტი საფრთხის წყაროს-სატრანსპორტო საშუალებების ურთიერთშეჯახებით ზიანი მიადგება არა მესამე პირს, არამედ ამ სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა უნდა დადგეს საერთო საფუძველზე ანუ ბრალის პრინციპის გათვალისწინებით.

საინტერესოა შემთხვევა, როდესაც მომეტებული საფრთხის წყარო გვევლინება საფრთხის აცილების იარაღად უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით, ისე უკიდურესი აუცილებლობისას მიყენებული ზიანი ანაზღაურდება, ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლოა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან ზიანის მიმყენებელი, თუ ეს ვალდებულება შესაბამისი მოცულობით დაეკისრება იმ პირს, ვის ინტერესებშიც მოქმედებდა იგი. ამდენად, მნიშვნელოვანია გაირკვეს, რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული უპირატესად ზემოხსენებულ ვითარებაში. მეცნიერთა გარკვეულ წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ თუ უკიდურესი აუცილებლობისას მომეტებული საფრთხის წყაროთი ზიანის მიყენება ხდება შეგნებულად და ზიანის მოცულობას თავიდანვე შეიცნობს მოქმედი სუბიექტი, გამოყენებულ უნდა იქნეს უკიდურესი აუცილებლობის წესები, ხოლო თუ ზიანი დადგა მომეტებული საფრთხის წყაროს სპეციფიკისა და მოსალოდნელი ზიანის მოცულობის შეუგნებლად, პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება დელიქტური სამართლის შესაბამისი ნორმებით, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი გამოწვეულია მომეტებული საფრთხის წყაროს თავისებურებით და არ ექვემდებარება ადამიანის გონების სრულ კონტროლს.⁵²

არ შეიძლება არ შევეხოთ საკითხს თუ რამდენად მართებულია პასუხისმგებლობა ბრალის არარსებობისას, მხოლოდ რისკის საფუძველზე? სამოქალაქო-სამართლებრივი დოქტრინა რისკის ცნებაში გულისხმობს წინასწარ გაუთვალისწინებელი ქონებრივი ან პირადი ხასიათის არახელსაყრელი შედეგების დადგომის საფრთხეს, პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას საკუთარი ან სხვა პირთა მოქმედების შედეგთან, ასევე შემთხვევის შედეგთან, რომელიც გამოიხატა უარყოფითი შედეგების დადგომის შეცნობით. ასეთ დროს ითვლება, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს გაცნობიერებული აქვს საკუთარი მართლზომიერი მოქმედების რისკი, უარყოფითი შედეგების დადგომის ალბათობა. ამ შემთხვევაში რისკი განიხილება როგორც ბრალის

⁵² თ. ნინიძე, უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების იურიდიული ბუნება, კრებულში: „საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები“, თბ., 1977, გვ. 72-73.

მინიმალური ხარისხი.⁵³ სწორედ ეს არის ამ პირზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. შეხედულებები ორად იყოფა აღნიშნულის თაობაზე. ერთი მოსაზრებით, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მართლსაწინააღმდეგო არაბრალეული მოქმედების განხორციელებისას არის რისკი, ხოლო სხვა მოსაზრებით, ზიანის ანაზღაურება პასუხისმგებლობის ფორმად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, როცა ის ემყარება ბრალეულ მოქმედებას.⁵⁴

მკაცრი პასუხისმგებლობის თეორია ემყარება დასაშვები რისკისთვის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპს ანუ პირი, რომელიც საკუთარი მიზნების მისაღწევად ახორციელებს გარშემომყოფთათვის მაღალი საფრთხის მატარებელ საქმიანობას, პასუხს უნდა აგებდეს, თუ ამგვარი რისკი კონკრეტულ ზიანში განსხეულდება.⁵⁵

ზემოთქმული მეტყველებს იმაზე, რომ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპს თეორეტიკოსთა ერთი ნაწილი ამართლებს დაზარალებულის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით და მას სამართლის სოციალიზაციის გამოვლენად მიიჩნევს. მძლავრი ინდუსტრიების შექმნა ზრდის ადამიანთა სიცოცხლისა, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობას. საფრთხის წყაროები საჭიროებენ მკაცრ მოწესრიგებას, რამეთუ მათთან დაკავშირებული საქმიანობა არღვევს სოციალურ წესრიგს და ქმნის საფრთხეს მთელი საზოგადოებისთვის.⁵⁶ ამასთან, ბრალის პრინციპიდან გადახვევა, როცა პასუხისმგებლობა ეკისრება თვით ყველაზე გონიერ ადამიანს, ვინც წინდახედულების ყველა ზომის მიღების მიუხედავად გახდა ზიანის შემთხვევით, მისი ნებისგან დამოუკიდებლად წარმოშობის მიზეზი, გაუმართლებელია ეთიკურად და სამართლიანობის თვალსაზრისით. თუმცა, ამ შემთხვევაში მიუთითებენ ხოლმე მხარეთა მდგომარეობის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით კონკრეტულ სამართლიანობის გამოვლინებაზეც.

გამოსავალი ამ აუცილებელი ბოროტებიდან პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის შემოღებაა, რომელიც ზიანის განაწილების პრინციპს ეფუძნება. მისი დამკვიდრების გარდუვალობაზე სამართალმცოდნეები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში მიუთითებდნენ: თუ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპი უგულებელყოფს ზიანის მიმყენებლის ინტერესებს და მთლიანად აგებულია დაზარალებულის ინტერესებზე, ქონებრივი

⁵³ E.A. Суханов. დასახელებული ნაშრომი., 453.

⁵⁴ O.A. Красавчиков., Возмещение вреда, причиненного источником повышенной опасности, М., 1966, 142.

⁵⁵ ქ.ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა., ჟ. "სამართალი". #1, 2009., გვ.111

⁵⁶ კ.წიქარიშვილი, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში. სამართლებრივი ანომალია თუ რეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, ჟ. "სამართალი", 1, 2000, გვ. 70.

პასუხისმგებლობის დაზღვევა, რასაც მართალია, დაზარალებულის ინტერესების დაცვას უკავშირებენ, ფაქტობრივად, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას აუქმებს.

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის თავისებურება ის არის, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ არაბრალეულად მიყენებული ზიანის ანაზღაურებით, ის ვრცელდება ბრალეულად მიყენებულ ზიანზეც.⁵⁷ ამ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიას გააჩნია უკუმოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებლის მიმართ. ამასთან, საფრანგეთში, სადაზღვევო პრაქტიკაში დაზღვევა განზრახი ბრალით მიყენებული ზიანისთვის დაუშვებელია. შესაძლოა როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელსაც გააჩნია ან ნებაყოფლობითი, ან სავალდებულო ხასიათი.

ძირითადად, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა ატარებს სავალდებულო დაზღვევის ხასიათს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი ამ ობიექტის თვისებების გამო მეტი რისკის მატარებელია. შესაბამისად, კანონმდებელი ვალდებულია შექმნას უსაფრთხო ბრუნვის პირობები, თუნდაც მოსალოდნელი რისკის ნეიტრალიზაციით. ქონებრივი პასუხისმგებლობის ტრადიციული ინსტიტუტი ხშირად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული საფრთხის რეალიზაციით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. პასუხისმგებლობის დაზღვევა ემსახურება როგორც მფლობელის, ისე დაზარალებულის ინტერესების დაცვას. ქონებრივად ხელმოკლე ზიანის მიმყენებელი ნაკლები გარანტიაა დაზარალებულისათვის. ამ შემთხვევაში, მას უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მოთხოვნით სადაზღვევო კომპანიას, გადახდისუნარიან მოვალეს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევით შესაძლებელი ხდება სადაზღვევო რისკის სოციალიზაცია და სადაზღვევო ფონდის შექმნით ზიანის ანაზღაურების განაწილება ამ რისკის მატარებელ პირთა წრეზე. მომატებული საფრთხის წყაროს, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას იცნობს გერმანული და ქართული სამართალი, მაგალითად, კანონი ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

⁵⁷ ბ. ზოიძე, ავტომობილის მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხისათვის, ჟ. „საბჭოთა სამართალი“, 4, 1984, 24-25.

3.3. პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უფლებების დაცვა, რომელზეც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ევროდირექტივები. საინტერესოა გარკვევა იმისა, თუ როგორ ხდება უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებლობა.

ზოგადად ზიანის მიყენების წინაპირობა პროდუქტის შეძენაა. გამყიდველსა და მყიდველს შორის სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოიშობა, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ გამყიდველმა უხარისხო საქონელი გაყიდა რითაც ზიანი მიაღდა მომხმარებელს, მას შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთვალდებულების საფუძველზე მოითხოვოს ზიანის ანაზრაულება. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სახელშეკრულებო სარჩელების შესაძლებლობები ხელშეკრულებითაა შეზღუდული და ხშირად დაზარალებულს უწევს მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების ბრალეულად შეუსრულებლობის მტკიცება, სასარჩელო მოთხოვნის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა, რაც არცთუ ისე ადვილია. რის გამოც დაზარალებულის უფლებების სრულყოფილი დაცვა რთულდება და შეუძლებელი ხდება.

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის მწარმოებლის პასუხისმგებლობის საქმეში ლომის წილი აშშ-ის სასამართლოებს ეკუთვნით. 1965 წლის დელიქტური სამართლის კრებულის 402-ე პარაგრაფის შესაბამისად „პირი, რომელიც პასუხს აგებს უხარისხო, მომხმარებლისათვის ან მისი ქონებისათვის მეტისმეტად სახიფათო საქონლისათვის, პასუხს აგებს ამის გამო მომხმარებლის დაზარალებისათვის: თუ ა) გამყიდველი პროფესიულად არის დაკავებული აღნიშნული საქონლის გასაღებით, ბ) საქონელი მომხმარებლამდე აღწევს მისი შეკვეთის საფუძველზე და მიწოდების პირობებში არსებითი ცვლილებების გარეშე; გ) ეს პრინციპი მოქმედებს მაშინაც და მათ მიმართაც, ვინც სახელეკრულებო ურთიერთობების უშუალო მონაწილე არ არის.⁵⁸

ზემოთქმული ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში მოპასუხეს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ეკისრება დელიქტური სამართლის პრინციპების გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 490-492-ე მუხლებით გაყიდული ნივთის ნაკლის გამო გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორება, ნაკლიანის უნაკლო ნივთით შეცვლა, ღირებულების დაბრუნება ან ნივთის ნაკლის გამო ფასის შემცირება. ხოლო რაც შეეხება უხარისხო პროდუქტით

⁵⁸ დ. სუხიტაშვილი., თ. სუხიტაშვილი., სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ.2016 გვ.481

მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ნასყიდობის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს.

უხარისხო საქონლით პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების მნიშვნელობაზე მიუთითებს ევროსაბჭოს 1985 წლის 25 ივლისის აქტი წუნიათი საქონლისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე. რომელსაც ითვალისწინებს ევროსაბჭოს თითქმის ყველა წევრი სახელმწიფო და შესაბამისად დანერგილია მათ კანონმდებლობაში. დირექტივის შესაბამისად მწარმოებელმა პასუხი უნდა აგოს ბრალის გარეშე ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1009-1016-ე მუხლები აწესრიგებს უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის ინსტიტუტს უფრო სრულყოფილად ვიდრე თუნდაც გერმანული ან ფრანგული კანონმდებლობა.

ქართული სამოქალაქო კოდექსით გარანტირებულია უხარისხო პროდუქტით დაზარალებულთა ფართო წრის დარღვეული უფლებების დაცვა. სკ-ის 1009-ე მუხლით დაზარალებულს მიეკუთვნება ყველა ის პირი, ვინც უხარისხო საქონლით განიცადა ზიანი. ურთიერთობის სუბიექტთა მეორე მხარეს მიეკუთვნება პასუხისმგებლობის სუბიექტი-მწარმოებელი. სკ-ის 1011-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები მწარმოებლად მოიაზრებს პირს, რომელმაც საბოლოოდ აწარმოა პროდუქტი, ძირითადი ელემენტი, ან პროდუქტის ნაწილი. კანონით მწარმოებლად ითვლება ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის. თუ უხარისხო საქონლის მწარმოებლად რამდენიმე სუბიექტი გვევლინება მაშინ საქმე გვექნება სოლიდარულად პასუხისმგებელ სუბიექტებთან. უნდა ითქვას ისიც, რომ კანონის მიხედვით მწარმოებელთან გათანაბრებულია პირი, რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გაყიდვის, გაქირავების ან სხვა ფორმით სამეურნეო მიზნებით თავისი საქმიანობის ფარგლებში.

გარდა ზემოთქმულისა, უნდა აღინიშნოს შემდეგი მომენტიც: საქართველოს სამოქალაქო კოდექსს პასუხისმგებლობის სუბიექტთა წრეში არ გაყავს სამუშაოსა და მომსახურების უხარისხოდ შემსრულებელი პირები. ჩვენგან განსხვავებით, რიგი ქვეყნების სამოქალაქო სამართალი პასუხისმგებლობის სუბიექტებად თვლის როგორც უხარისხო პროდუქტის მწარმოებელს, ასევე სამუშაოსა და მომსახურების უხარისხოდ შემსრულებლებს.⁵⁹

⁵⁹ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი, მ.1095

დავით სუხიტაშვილის მოსაზრებით კარგი იქნებოდა ასეთი დებულების ქართულ სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინება.⁶⁰

ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი უხარისხო პროდუქციის მწარმოებელთა ფართო წრეს მოიცავს, რაც დაზარალებულს უფლებების დაცვის მეტ გარანტიას ქმნის.

სამოქალაქო კოდექსის 1009¹ მუხლი ადგენს, რომ „წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისთვის“, სადაც ზიანში იგულისხმება როგორც ქონებრივი ასევე არქონებრივი ზიანიც. მთავარი ყურადღება მაინც გამახვილებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე. ამაზე მეტყველებს ევროსაბჭოს 1985 წლის 25 ივლისის დირექტივაც, რომლის შესაბამისად უხარისხო პროდუქტის მწარმოებელმა პასუხი უნდა აგოს ბრალის გარეშე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისთვის, რაც მის მიერ წარმოებულმა უხარისხო საქონელმა გამოიწვია. აღნიშნული დირექტივის გამოძახილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1014 მუხლი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლის მიხედვით პროდუქტი წუნდებულად მიიჩნევა, თუ იგი არ უზრუნველყოფს მის საიმედობას, რომელიც ყველა გარემოებების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისგან. სამოქალაქო კოდექსი პროდუქტის ლეგალურ განმარტებასაც გვაძლევს, რომლის თანახმადაც პროდუქტად მიჩნეულია ყველა მოძრავი ნივთი, მაშინაც კი, თუკი ის სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის ნაწილს წარმოადგენს.

სადღეისოდ მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყანა უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის მკაცრ პასუხისმგებლობას ადგენს. მათ შორისაა საქართველოც. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1009³-ე მუხლის თანახმად პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად მიიჩნევა მხოლოდ დაზარალებულის ბრალეული ქმედება.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ყველა სისტემაში მკაცრი პასუხისმგებლობის განვითარების ძირითადი მიზანი დაზარალებულის მდგომარეობის გაუმჯობესებაა. რაც ბრალის პრინციპის მკვეთრი შეზღუდვით გახდა შესაძლებელი და რომელმაც თავისი როლი შეასრულა. დღეისთვის მსჯელობის საგანს წარმოადგენს საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ეფექტური და გამართლებულია უბედური შემთხვევით გამოწვეული, განსაკუთრებით ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის მატერიალური ანაზღაურების არსებული სამართლებრივი მიდგომები მკაცრი პასუხისმგებლობის სახით.⁶¹ ბოლო პერიოდში შეიცვალა შეხედულებები მოქალაქოს სოციალური დაცვის მექანიზმებზე, საუბარია სოციალურ

⁶⁰ დ. სუხიტაშვილი დ, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ.2016 გვ.485

⁶¹ იქვე., გვ.488

დაზღვევებზე. ბევრ ქვეყანაში უკვე საკანონმდებლო წესით არის რეალიზებული უბედური შემთხვევით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის ახალი სისტემა, რომელიც გულისხმობს დამსაქმებლის ვალდებულებას ყველა მუშაკი დააზღვიოს საწარმოო ტრამვისა და პროფესიული დაავადების რისკებისგან. ხოლო მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელმა და უხარისხო პროდუქტის მწარმოებელმა უნდა დააზღვიონ თავიანთი საქმოაქალო პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის და უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის. ამასთანავე სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაზარალებულის მზღვეველისადმის უშუალოდ მიმართვის უფლება.

თავი IV. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები

4.1. დაუძლეველი ძალა

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საერთო საფუძველს წარმოადგენს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გამოწვეული დაუძლეველი ძალით ან შემთხვევით. ამ უკანასკნელს ქვემოთ ცალკე ქვეთავად განვიხილავთ.

აღსანიშნავია, რომ ერთეული გამონაკლისების გარდა დაუძლეველი ძალა შესრულების შეუძლებლობის პირობაა და მისგან წარმოშობილი უარყოფითი შედეგისთვის პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსი არ გვაძლევს დაუძლეველი ძალის ამომწურავ განმარტებას, თუმცა ამავე კოდექსის 132-მუხლში საუბარია დაუძლეველი ძალის ორ მნიშვნელოვან კრიტერიუმზე, კერძოდ მასში ნათქვამია, რომ: ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ სარჩელის წარდგენას აბრკოლებს „განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი ძალა“. ვიტრიანსკის განმარტებით დაუძლეველი ძალა განიმარტება, როგორც განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი გარემოება.⁶²

კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში ითვლება, რომ ის რისი შესრულებაც შეუძლებელია, იურიდიულად ბათილია. მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი სიტყვასიტყვით იმეორებს შესრულების შეუძლებლობის პრინციპს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად „ ბათილია პირობა, რომლის შესრულებაც შეუძლებელია.“⁶³

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1148-ე მუხლი მიუთითებს, რომ „არ არსებობს ზიანის ანაზღაურების საფუძველი, თუ დაუძლეველი ძალის ან შემთხვევით გარემოებათა წინააღმდეგობის გამო მოვალემ ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება ან გააკეთა ის, რისი გაკეთებაც ეკრძალებოდა. ხოლო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 275-ე პარაგრაფში მოცემულია შემდეგი: „შესრულების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია იმ ფარგლებში, რომელშიც იგი მოვალისათვის ან ნებისმიერი პირისათვის შეუძლებელია“⁶⁴.

დ. სუხიტაშვილი მიიჩნევს, რომ დაუძლეველი ძალის დეფინიცია სრულყოფილად კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (უნიდროას) მიერ შემუშავებული

⁶² В. Витрянский. Договорное право., Часть 1. М. М. 2000, с.419.,

⁶³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი-91.,

⁶⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, მთარგმნელი და რედაქტორი ზ. ჭეჭელაშვილი, თბ.2010

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების 7.1.7. მუხლშია მოცემული⁶⁵. რომლის მიხედვით ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან თუ დაამტკიცებს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მის კონტროლს დაუქვემდებარებელი წინააღმდეგობით და რომ ხელშეკრულების დადების დროს გონივრული განსჯის შედეგადაც შეუძლებელი იყო ამ წინააღმდეგობისა და მისგან გამოწვეული შედეგის წინასწარი გათვალისწინება, მისი თავიდან აცილება ან გადალახვა.

თანამედროვე ეტაპზე გარემოება, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობის პირობას ქმნის ფრანგული წარმოშობის ტერმინ „ფორს-მაჟორით“ იწოდება და ნიშნავს გადაულახავ დაბრკოლებას. ასეთ დროს მნიშვნელოვანია შემდეგი ორი კრიტერიუმი:

ა) „განსაკუთრებულობა“; და

ბ) მოვლენის „თავიდან აცილების შეუძლებლობა.“

აქედან პირველი დაუძლეველი ძალის ობიექტურ ხასიათზე მიგვანიშნებს, რომ მისი წარმოშობა ურთიერთობის მონაწილის ნებას არ ექვემდებარება, თავისთავადი და შეუცნობადია. მას მიეკუთვნება-მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ხანძარი და სხვა. ასევე ომი, აჯანყება, გაფიცვა და ა.შ.

რაც შეეხება დაუძლეველი ძალის სუბიექტურ კრიტერიუმს, რომელიც მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, დაუძლეველი ძალის თვისებად ვერ გამოდგება. ამრიგად, სუბიექტური კრიტერიუმის სახით კვლევის გამორიცხვის მეთოდთან გვაქვს საქმე, რომლის საშუალებითაც მოვლენა შეიძლება დაუძლეველ ძალად ვადიაროთ ან არ ვადიაროთ.⁶⁶ სხვა შემთხვევაში სუბიექტური აქტივობა ვალდებულების შესრულების სუბიექტურ შესაძლებლობას განსაზღვრავს.

მოვლენა, რომელიც ამძიმებს ვალდებულების შეუსრულებლობას, დაუძლეველ ძალად ვერ იქნება მიჩნეული. უნიდროას პრინციპების 6.2.1-6.2.3 მუხლების მიხედვით ვალდებულების გართულებული შესრულება მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან არ ათავისუფლებს, თუნდაც გართულებული შესრულება მისი ბრალით არ იყოს გამოწვეული.

არსებობს დაუძლეველი ძალის კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი მოვლენა მოვალისათვის გარეგან ძალას, გარეგან მიზეზს წარმოადგენს.

⁶⁵ დ. სუბიტაშვილი, თ. სუბიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ.2016, გვ. 491

⁶⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.3., თბ., 2001., გვ.372

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დაუძლეველ ძალას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს, უპირატესად ვალდებული პირისა და დელიკტენტის მიმართ გამოიყენებს. მაგალითად, 669-ე მუხლის მიხედვით გადამზიდველ-გადამყვანი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისთვის, მაგრამ პასუხისმგებლობას გამორიცხავს, თუ ზიანი დაუძლეველი ძალით არის გამოწვეული. ასევე კოდექსის 1000-ე მუხლი ადგენს, რომ ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხის წყაროთი ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ნივთისთვის მიყენებული ზიანისთვის ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი, თუკი დამდგარი უარყოფითი შედეგი დაუძლეველი ძალით არის გამოწვეული. მსგავსი წესებია განსაზღვრული 779-ე და 999-ე მუხლებით.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლში საუბარია, რომ თუ ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს დაუძლეველი ძალის მოქმედებით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის პირობები შეექმნა, მხარე, რომელიც დაუძლეველი ძალის ზემოქმედებას განიცდის, უფლებამოსილია უარი თქვას „გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე“. აღნიშნული მუხლი ზოგადი ხასიათისაა და ვრცელდება ყველა ხელშეკრულებაზე, თუმცა ზოგჯერ ცალკეული ხელშეკრულებებიც იმეორებენ წესს, რომლის მიხედვითაც დაუძლეველი ძალა ხელშეკრულების ორივე მხარის ინტერესებზე ერთნაირად ზემოქმედებს. ასეთია, მაგალითად კოდექსის 666-ე მუხლი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად⁶⁷ თუ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის რომელიც დაუძლეველი ძალით იყო გამოწვეული მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, ჯანმრთელობის ან ნივთის დაზიანება საერთო წესის თანახმად სატრანსპორტო საშუალების მფლობელი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობისგან, რაც თავის მხრივ დაზარალებულის ინტერესებზე უარყოფითად აისახება. მსგავი წესია დადგენილია კოდექსის მე-1000 და სხვა მუხლებითაც. ერთადერთ გამონაკლისს საერთო წესიდან წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-3 ნაწილი, და საჰაერო კოდექსის 77-ე მუხლი, რომელთა მიხედვითაც „გადამყვან-გადამზიდველი პასუხს აგებს ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მგზავრის გარდაცვალებით, დასახიჩრებით, ან სხეულის სხვაგვარი დზიანებით, თუ უბედური შემთხვევა მოხდა აეროპორტის საზედამხედველო არეში ან საჰაერო ხომალდზე“⁶⁸.

⁶⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 999³- მუხლი

⁶⁸ საქართველოს საჰაერო კოდექსი., 77 მუხლი

4.2. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სხვა საფუძვლები (შემთხვევა, შესრულების შეუძლებლობა)

სამოქალაქო სამართალი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად გარდა ზემოთგანხილულისა, „შემთხვევით“ გარემოებასაც განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, მართალია, დაუძლეველი ძალის მსგავსად შემთხვევასაც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, მაგრამ ამის თაობაზე კოდექსში პირდაპირ არაფერია ნათქვამი. მასში აქცენტირებულია გამონაკლისები, კერძოდ როცა სამართლის სუბიექტს შემთხვევით გარემოებათა გამო დაეკისრება პასუხისმგებლობა. მაგალითად: კრედიტორს შესრულების მიღების ვადის გადაცილებისთვის დაეკისრება ნივთის გაფუჭების ან დაღუპვის რისკი (მ.393), ან მოვალე პასუხს აგებს ვადის გადაცილების დროს შემთხვევითობისთვისაც (მ.402) და ა.შ.

აქედან გამომდინარე საჭიროა დაუძლეველი ძალისა და შემთხვევის ერთმანეთისგან გამიჯვნა. თუ დაუძლეველი ძალა გარეშე, ობიექტურად თავიდან აუცდენელი გარემოებაა, შემთხვევა შინაგანი მოვლენაა, რაც დაკავშირებულია მოვალის საქმიანობასთან. შემთხვევაც წინასწარ გაუთვალისწინებელი მოვლენაა, თუმცა მისი თავიდან აცილება სუბიექტური ხასიათისაა.

ამავდროულად, შემთხვევა, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთ-ერთი პირობა, უნდა განვასხვავოთ შემთხვევისგან, როგორც აუცილებლობისა და შემთხვევითობის ფილოსოფიური კატეგორიებისგან. შემთხვევა, ანუ კაზუსი სამართლებრივი მნიშვნელობით, არის ბრალის გარეშე მოქმედებით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პირობა. ამასთანავე, შემთხვევაა ისეთი მოვლენაა, როცა მისი წინასწარ შეცნობა და თავიდან აცილება შესაძლებელია, თუკი მოვალე ვალდებულების შესასრულებლად მზრუნველობასა და გულისხმიერების უფრო მაღალ ხარისხს გამოავლენდა, ვიდრე ეს მას ხელშეკრულებით ან კანონით ევალებოდა.

თავი V. კვლევის შედეგები

შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდებზე დაყრდნობით ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის თავები შეჯამების სახით ასე გამოიყურება:

პირველი თავი საკითხის ირგვლივ არსებული ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, მათ შორის საკანონმდებლო აქტები.

მეორე თავი-სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ბრალის ზოგადი დახასიათება: სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის სახელმწიფოებრივი იძულების ერთ-ერთი ფორმა, რაც გამოიხატება სასამართლოს მიერ სამართალდამრღვევის მიმართ ქონებრივი სანქციის დაწესებით, რომელიც იწვევს მისთვის არახელსაყრელი ქონებრივი შედეგების დადგომას და მიმართულია დაზარალებულის დარღვეული უფლებების აღდგენისაკენ. სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს იურიდიული პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურებაში, პირგასამტეხლოს გადახდაში, ბეს დაკარგვაში. „ზიანის ანაზღაურება (Dam-ages) გულისხმობს ფულად კომპენსაციას, რომელიც შეიძლება სასამართლოს მიერ ერთ მხარეს დაეკისროს მეორე მხარისათვის მიყენებული კონკრეტული ზიანის სანაცვლოდ“.

ქართულ სამოქალაქო კოდექსში გადმოცემული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები ითვლება მთელი კერძო სამართლისათვის საერთო ზოგად პრინციპებად.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის წარმოშობისთვის საჭიროა სახეზე გვექონდეს: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი, დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და ბრალი.

„ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.“ „ზიანის არარსებობა გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას... ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული უნდა იყოს“ და „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებადი ზიანი.“

მართლწინააღმდეგობა ნიშნავს, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას. თანამედროვე პოზიტიური სამოქალაქო სამართალი არ იცნობს ბრალის ცნებას, მას განსაზღვრავს დოქტრინა, რომელიც უარყოფს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას და მიიჩნევს, რომ ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნების დაცვა. გერმანული დოქტრინა ბრალს

განმარტავს როგორც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მომცველ ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო და სუბიექტურად გაკიცხვად ქმედუნარიანი პირის ქმედებას. ფრანგული სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით ბრალეული მოქმედება სახეზეა, თუ საქმე გვაქვს აკრძალულ მოქმედებასთან და კანონით პირზე დაკისრებული მოვალეობის დარღვევასთან.

ქართულ ცივილისტურ დოქტრინაში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ბრალის ცნება. სახელშეკრულებო ურთიერთობიდან აღმოცენებული ვალდებულების დარღვევა აფუძნებს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია არსებობა გარკვეული წინაპირობებისა, რომლებიც ვალდებულების დარღვევის შემადგენლობას ქმნიან. ამ შემადგენლობის ელემენტებია: ქმედების მართლწინააღმდეგობა, მიყენებული ზიანი, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი და დამრღვევი სუბიექტის ბრალი.

ვალდებულების შეუსრულებლობა ბრალის გარეშე ხელშეკრულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას ქმნის (გარდა ვადის გადაცილებისა, რომლის სამართლებრივ კონსტრუქციაში ბრალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს). ხოლო მართლწინააღმდეგობა, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი ვალდებულების დარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ობიექტურ ელემენტებად განიხილებიან.

მესამე თავის - ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ცალკეული სახეების შეჯამება: კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართალი, იცნობს პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევებს იმ დროსაც, როცა არსებობს მოვალისაგან დამოუკიდებელი მიზეზები. თუ კონტინენტური ევროპის სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გამონაკლისია საერთო წესიდან, საერთო სამართალში, კერძოდ, სახელშეკრულებო სამართალში ის ზოგადი პრინციპია.

სახელშეკრულებო სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ხშირად უკავშირებენ მოვალისა და კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას, გვაროვნულად განსაზღვრული ნივთის დაღუპვას, ხოლო დელიქტურ სამართალში მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიყენების ფაქტს.

საფრანგეთში ჯერ კიდევ 1898 წელს შევიდა ძალაში კანონი საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ, რომლის თანახმად, მუშებს საწარმოო ტრამვის მიღებისას უფლება ჰქონდათ, ზიანის ანაზღაურება მოეთხოვათ დამსაქმებლისგან ინციდენტში მისი უშუალო ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც, მაშინ, როდესაც საქართველოში, ზემოთმოყვანილი საკანონმდებლო ბაზის და სასამართლო პრაქტიკის გავითვალისწინებთ, მე-20 საუკუნის ბოლოს მხოლოდ ბრალის

პრინციპის შეზღუდვის ჩანასახთან გვეკონდა საქმე. რაც ნიშნავს, რომ, დაზარალებული მუშაკის ბრალი დამსაქმებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ან პასუხისმგებლობის შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენდა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობის საკითხისადმი მიდგომა არაერთგვაროვან ხასიათს ატარებდა: საქართველოს პირველი პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებით, ხოლო შემდეგ საქართველოს 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ეკისრებოდა დამსაქმებელს, თუ ზიანი გამოწვეულ იქნებოდა დამსაქმებლის ბრალეული ქმედებით. აღნიშნულისგან განსხვავებით შრომის კოდექსის 35-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ “დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.”

პირველად დამოუკიდებელი საქართველოს შრომის კოდექსმა დაამკვიდრა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დამსაქმებლისათვის მისი ბრალეული მოქმედების არსებობა-არარსებობის მიუხედავად. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ჯანმრთელობის ან სხეულის სხვაგვარ დაზიანებაში თავად დაზარალებულს მიუძღვის ბრალი თუ არა.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ვერც სამოქალაქო კოდექსები და ვერც სასამართლო პრაქტიკა ცალსახად და ამომწურავად ვერ ცემენ ამ კითხვებზე პასუხს. სწორედ ამიტომ ბევრ ქვეყანაში მკაცრ პასუხისმგებლობას სამოქალაქო კოდექსებთან ერთად სპეციალური კანონები აწესრიგებენ. მაგალითად გერმანიაში დელიქტური სამართლის არსს ბრალის პრინციპში ხედავენ, შესაბამისად მკაცრ პასუხისმგებლობას არანორმალურ სამართლებრივ მოვლენად გამონაკლისად მიიჩნევენ. ითვლება, რომ მკაცრი პასუხისმგებლობა უფრო დაბალ იურიდიულ სტატუსს იმსახურებს და აქედან გამომდინარე არა კოდექსით, არამედ ცალკეული სპეციალური კანონით უნდა მოწესრიგდეს.

არ არსებობს მომეტებული საფრთხის წყაროს გაგებისადმი ერთიანი მიდგომა. დოქტრინის თანახმად, ამ ცნებაში მოიაზრება ის ობიექტები, რომელთა თვისებების გათვალისწინებით შეუძლებელია მათზე ადამიანის მიერ სრული კონტროლის განხორციელება (ობიექტის თეორია) ან საქმიანობა, რომელიც ქმნის მომეტებულ საფრთხეს გარშემო მყოფთათვის (ქმედების

თეორია), მიუხედავად წინდახედულების სათანადო ზომების მიღებისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სამართლის სისტემაში სასამართლო განსაზღვრავს ამგვარ საქმიანობას შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

- 1) რისკის ხარისხი ანუ არსებობს თუ არა ზიანის მიყენების მომეტებული რისკი;
- 2) ადამიანის შესაძლებლობა, შეაჩეროს აღნიშნული საქმიანობიდან გამომდინარე საფრთხე;
- 3) მოცემული საქმიანობის უჩვეულო ხასიათი;
- 4) საქმიანობის განხორციელების ადგილის მიზანშეწონილობა;
- 5) მოცემული საქმიანობიდან გამომდინარე საზოგადოებრივი სარგებლისა და საზოგადოებრივი საშიშროების ურთიერთმიმართება.

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი გვამღვეს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ მასში მოცემული მომეტებული საფრთხის წყაროს გაგება ორივე კონცეფციას-ქმედების და ობიექტის თეორიებს. მაგალითად კოდექსის 999 მუხლი, სადაც საუბარია მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების მფლობელის პასუხისმგებლობაზე: თუ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, გამოხატავს ქმედების თეორიის კონცეფციას, ვინაიდან ამ ნორმაში აქცენტი მფლობელის მიერ სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზეა გაკეთებული, რაც აქტიური ქმედების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ოქბიექტის თეორიის შესაბამისი კონცეფცია კი კოდექსის 1000-ე მუხლშია მოცემული. სადაც საუბარია ნაგებობიდან, ნაგებობაში წარმოებულ და მოთავსებულ ენერგიაზე, ხანძარსაშიმ და აფეთქებასაშიმ, შხამიან ან მომწამვლელ ნივთიერებებზე, რომლებიდანაც გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე. მატერიალური ნივთები იმ შემთხვევაში ჩაითვლება მომეტებული საფრთხის წყაროდ თუ მასზე ადამიანის სრული კონტროლი ვერ ხორციელდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-1000-ე მუხლებით მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა მის მფლობელს ეკისრება, ამავე დროს არა აქვს მნიშვნელობა კანონიერი მფლობელია ის თუ უკანონო, ან კეთილსინდისიერია თუ არაკეთილსინდისიერი. სამოქალაქო სამართალი იმ პირებს, რომლებიც მართლზომიერად ახორციელებენ მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაკავშირებულ საქმიანობას, აკისრებს სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

გამოსავალი პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის შემოღებაა, რომელიც ზიანის განაწილების პრინციპს ეფუძნება. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის თავისებურება ის არის, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ არაბრალეულად მიყენებული

ზიანის ანაზღაურებით, ის ვრცელდება ბრალეულად მიყენებულ ზიანზეც. ამ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიას გააჩნია უკუმოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებლის მიმართ. ამასთან, საფრანგეთში, სადაზღვევო პრაქტიკაში დაზღვევა განზრახი ბრალით მიყენებული ზიანისთვის დაუმზებელია. შესაძლოა როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელსაც გააჩნია ან ნებაყოფლობითი, ან სავალდებულო ხასიათი. ძირითადად, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა ატარებს სავალდებულო დაზღვევის ხასიათს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი ამ ობიექტის თვისებების გამო მეტი რისკის მატარებელია. შესაბამისად, კანონმდებელი ვალდებულია შექმნას უსაფრთხო ბრუნვის პირობები, თუნდაც მოსალოდნელი რისკის ნეიტრალიზაციით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 490-492-ე მუხლებით გაყიდული ნივთის ნაკლის გამო გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორება, ნაკლიანის უნაკლო ნივთით შეცვლა, ღირებულების დაბრუნება ან ნივთის ნაკლის გამო ფასის შემცირება. ხოლო რაც შეეხება უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ნასყიდობის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს.

უხარისხო საქონლით პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების მნიშვნელობაზე მიუთითებს ევროსაბჭოს 1985 წლის 25 ივლისის აქტი წუნიაანი საქონლისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე. რომელსაც ითვალისწინებს ევროსაბჭოს თითქმის ყველა წევრი სახელმწიფო და შესაბამისად დანერგილია მათ კანონმდებლობაში. დირექტივის შესაბამისად მწარმოებელმა პასუხი უნდა აგოს ბრალის გარეშე ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1009-1016-ე მუხლები აწესრიგებს უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის ინსტიტუტს უფრო სრულყოფილად ვიდრე თუნდაც გერმანული ან ფრანგული კანონმდებლობა.

ქართული სამოქალაქო კოდექსით გარანტირებულია უხარისხო პროდუქტით დაზარალებულთა ფართო წრის დარღვეული უფლებების დაცვა. სკ-ის 1009-ე მუხლით დაზარალებულს მიეკუთვნება ყველა ის პირი, ვინც უხარისხო საქონლით განიცადა ზიანი. ურთიერთობის სუბიექტთა მეორე მხარეს მიეკუთვნება პასუხისმგებლობის სუბიექტი-მწარმოებელი. სკ-ის 1011-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები მწარმოებლად მოიაზრებს პირს, რომელმაც საბოლოოდ აწარმოა პროდუქტი, ძირითადი ელემენტი, ან პროდუქტის ნაწილი. კანონით მწარმოებლად ითვლება ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი

განმასხვავებელი ნიშნით გამოდის. თუ უხარისხო საქონლის მწარმოებლად რამდენიმე სუბიექტი გვევლინება მაშინ საქმე გვექნება სოლიდარულად პასუხისმგებელ სუბიექტებთან. უნდა ითქვას ისიც, რომ კანონის მიხედვით მწარმოებელთან გათანაბრებულია პირი, რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გაყიდვის, გაქირავების ან სხვა ფორმით სამეურნეო მიზნებით თავისი საქმიანობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსს პასუხისმგებლობის სუბიექტთა წრეში არ გაყავს სამუშაოსა და მომსახურების უხარისხოდ შემსრულებელი პირები. ჩვენგან განსხვავებით, რიგი ქვეყნების სამოქალაქო სამართალი პასუხისმგებლობის სუბიექტებად თვლის როგორც უხარისხო პროდუქტის მწარმოებელს, ასევე სამუშაოსა და მომსახურების უხარისხოდ შემსრულებლებს. კარგი იქნებოდა ასეთი დებულების ქართულ სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინება.

მეოთხე თავი-პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლების შეჯამება: პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საერთო საფუძველს წარმოადგენს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გამოწვეული დაუძლეველი ძალით ან შემთხვევით.

ერთეული გამონაკლისების გარდა დაუძლეველი ძალა შესრულების შეუძლებლობის პირობაა და მისგან წარმოშობილი უარყოფითი შედეგისთვის პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსი არ გვაძლევს დაუძლეველი ძალის ამომწურავ განმარტებას, თუმცა ამავე კოდექსის 132-მუხლში საუბარია დაუძლეველი ძალის ორ მნიშვნელოვან კრიტერიუმზე, კერძოდ მასში ნათქვამია, რომ: ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ სარჩელის წარდგენას აბრკოლებს „განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი ძალა.“

კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში ითვლება, რომ ის რისი შესრულებაც შეუძლებელია, იურიდიულად ბათილია. მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი სიტყვასიტყვით იმეორებს შესრულების შეუძლებლობის პრინციპს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად „ბათილია პირობა, რომლის შესრულებაც შეუძლებელია.“

დაუძლეველი ძალის დეფინიცია სრულყოფილად კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (უნიდროას) მიერ შემუშავებული საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების 7.1.7. მუხლშია მოცემული. რომლის მიხედვით ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან თუ დაამტკიცებს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მის კონტროლს დაუქვემდებარებელი წინააღმდეგობით და რომ ხელშეკრულების დადების დროს გონივრული განსჯის შედეგადაც

შეუძლებელი იყო ამ წინააღმდეგობისა და მისგან გამოწვეული შედეგის წინასწარი გათვალისწინება, მისი თავიდან აცილება ან გადალახვა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დაუძლეველ ძალას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს, უპირატესად ვალდებული პირისა და დელიკტენტის მიმართ გამოიყენებს. მაგალითად, 669-ე მუხლის მიხედვით გადამზიდველ-გადამყვანი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისთვის, მაგრამ პასუხისმგებლობას გამორიცხავს, თუ ზიანი დაუძლეველი ძალით არის გამოწვეული. ასევე კოდექსის 1000-ე მუხლი ადგენს, რომ ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხის წყაროთი ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ნივთისთვის მიყენებული ზიანისთვის ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი, თუკი დამდგარი უარყოფითი შედეგი დაუძლეველი ძალით არის გამოწვეული. მსგავსი წესებია განსაზღვრული 779-ე და 999-ე მუხლებით.

საჭიროა დაუძლეველი ძალისა და შემთხვევის ერთმანეთისგან გამიჯვნა. თუ დაუძლეველი ძალა გარეშე, ობიექტურად თავიდან აუცდენელი გარემოებაა, შემთხვევა შინაგანი მოვლენაა, რაც დაკავშირებულია მოვალის საქმიანობასთან. შემთხვევაც წინასწარ გაუთვალისწინებელი მოვლენაა, თუმცა მისი თავიდან აცილება სუბიექტური ხასიათისაა.

დასკვნა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აისახოს ერთიანი დოქტრინისეული პოზიცია, თუ რას გულისხმობს იურიდიული პირის ბრალის ცნება, ვისი ბრალეული მოქმედება შეირაცხება იურიდიულ პირის ბრალად — ხელმძღვანელი სუბიექტისა თუ რიგითი მუშაკის.

დაზუსტდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 401-ე და 402-ე მუხლების შინაარსი, რომლებიც დღევანდელი რედაქციით მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა აწესებენ ერთდროულად ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპს.

მითითებულ ნორმებში საჭიროა გამოიკვეთოს მოვალის პასუხისმგებლობის საფუძველი, რომელიც 401-ე მუხლში აზრობრივად წარმოდგენილია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოხატული ვადის გადაცილებით, როცა შესრულება კიდევ შესაძლებელია; ხოლო 402-ე მუხლში — მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოხატული შესრულების შეუძლებლობით, რაც გამოიწვია ვადის გადაცილებისას წარმოშობილმა შემთხვევითმა გარემოებამ.

თანამედროვეობაში მომეტებული საფრთხის წყაროთა სიმრავლის გათვალისწინებით დაწესდეს ყველა სახის მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, რაც გამორიცხავს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას და, ზიანის განაწილების პრინციპზე დაყრდნობით, ემსახურება როგორც დაზარალებულის, ისე ზიანის მიმყენებლის ინტერესების დაცვას.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999,
2. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები, ქართული კერძო სამართლის კრებული.
3. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006,
4. ნაჭყებია გ., ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხისათვის, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 1, 2006,
5. ნინიძე თ., უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების იურიდიული ბუნება, კრებულში: „საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები“, თბ., 1977,
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, (ზოიძე ბ.), თბ., 2001,
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. 2. თბ. 2001.,
8. სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016
9. ძლიერიშვილი, ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ: ადვოკატი N2, თბილისი, 2013,
10. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006,
11. წიქარიშვილი კ., ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში. სამართლებრივი ანომალია თუ რეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, ჟ. "სამართალი", 1, 2000,
12. ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ-2., თბ. 2001.,
13. ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა., ჟ. "სამართალი" .#1, 2009
14. ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001,
15. ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998,

16. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, „სამართლის ჟურნალი“, 2011, N2

უცხოური ლიტერატურა:

17. Красавчиков О.А., Возмещение вреда, причиненного источником повышенной опасности, М., 1966,
18. Бушев А.Ю., Макарова О.А., Попондопуло В.Ф., Коммерческое право зарубежных стран, М., СПБ, 2003,
19. Гражданское право (т.1) 2-е изд. под ред. Суханова Е.А., М., 2003,
20. Осаке К., Сравнительное правоведение в схемах. Общая и особенная часть, М., 2002,
21. Морандер Л.ж., Гражданское право Франции. Том 1. М.1960
22. Саватье Р., Теория обязательств, М., 1972,
23. Гражданское право. Часть 2, под ред. Сергеева А. М.1998,
24. Витрянский В. Договорное право., Часть 1. М. 2000,
25. Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, 12 Auflage, Bd II, BT, 1981

სასამართლო პრაქტიკა:

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 6 იანვრის #ას-987-928-2010 განჩინება.
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 24 იანვრის #ას-1076-1008-2010
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის #ას-260-244-2011 განჩინება.
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის #ას-1169-1189-2011 განჩინება. ასევე,
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივლისის #ას-1052-1082-2011 განჩინება.

ნორმატიული მასალა

31. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.,26/06/1997
32. საქართველოს შრომის კოდექსი.,2010
33. საქართველოს საჰაერო კოდექსი., 1996.
34. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი., 1964
35. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, მთარგმნელი და რედაქტორი ზ. ჭეჭელაშვილი,. თბ.2010

ვებ. გვერდები:

36. <https://matsne.gov.ge>;
37. <http://www.supremecourt.ge>.